რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 31 მარტი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული „ერთობის" ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власiю Малакiевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскiй пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 14 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი რევოლუცია.

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის" რედაქციის გვერდით. ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე. საღამოს 5—7 „**

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე; შვილები ვასილი, ვალოდია, ზაქარია, გრიგოლი, მასიკო, ელენა, მარიამი და ოლღა; რძლები ელპიტე, მაშო და თამარა და შვილის შვილი მარგალიტა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ დაუვიწყარის

**ივანე ოთარის ძის ქადეიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსახოვების დღე დანიშნულია პირველ აპრილს დღით შაბათს ნაშუადღევს 4 საათზე ქ. ოზურგეთში, საკუთარ სახლში. პანაშვიდები ყოველ-დღე.

---

ქალაქ ფოთში 21 მარტს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფოთის ქალთა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

**მატრონა იაკობის ასული სიხარულიძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულმოკლულნი დედა პელაგია თაყას ასული, დები კატო საბაშვილისა და თინა, ძმა თომა სიხარულიძე, სიძე მღვდ. ლავრენტი საბაშვილი, ბიძები ანტონ და ილარიონ თომას ძენი სიხარულიძეები და ლევან თაყას ძე ღლონტი.

---

28 მარტს უდროოთ გარდაიცვალა ხალხში მოღვაწე და მოტრფიალე ახალი თაობის

**არჩილ სიმონის ძე ებრალიძე,**

რასაც დიდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ დამწვარი მეუღლე ევდუკია ვასილის ასული, დედა იულიტა ლომინის ასული, ძმები ლუკა, ნესტორ და დიმიტრი სიმონის ძენი, რძალი მარიამ გრიგოლის ასული, ძმის შვილი რუსუდან ლუკას ასული, ებრალ ძეები, ელენე სიმონის ასული ებრალიძე, აკვირინა შვილებითურთ ცინცაძისა, თეოლინა მახარაძისა და ნინა ჩიხლაძისა. სიძენები დათიკო მიხეილის ძე მახარაძე და იპოლიტე ხახულის ძე ჩიხრაძე და დეიდაშვილი მიხაკო იაკობის ძე მარრი. ცხედარს გამოასვენებენ საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინიდან (დიდუბე ბათუმის ქუჩა № 30` თფილისის სადგურზე და იქიდან გაასვენებენ ს. ლანჩხუთში. დაკრძალვა სამშაბათს, 4 აპრილს ნათლისმცემლის ეკლესიაზე.

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ნესტორ იოსების ძე მინდაძე, ძმა მილოსი და დაი მაშო სიხარულიძენი და სიძე სოლომონ დოლიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის

**მაგდანე ვახტანგის ასული მინდაძის**

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 17 მარტს ქ. თფილისში. პანაშვიდი ორშაბათს 3 აპრილს წმ. ნინოს ეკლესიაზე

---

## განცხადება

რესტორანების, კლუბების, სასტუმროების და სხვა დაწესებულებათა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ, თანახმად საზოგადო კრების მონდობილებისა აღდგომის დღესასწაულობის შესახებ დაადგინა: აპრილის პირველს დღით, შაბათს, საღამოს ექვსი საათიდან, კვირას ორს და ორშაბათს სამს აპრილს, მოსამსახურენი ყველა ზემო აღნიშნულ დაწესებულებების, ესე იგი რესტორანები, კლუბები, სადილოები, საჩაიე, საყავეები და სხვა იუქმებენ, მხოლოდ სასტუმროში (ნომერი) დარჩებიან შემცირებული შტატი მოსამსახურეებისა, რასაც აუწყებს გამგეობა ბ-ნთ პატრონებს და სტუმრებს.

ამავე დროს გამგეობა აუწყებს რა წევრებს თავის გადაწყვეტილებას, რომ სამშაბათს, 4 აპრილს ყველა ამხანაგები დაიწყებენ მუშაობას და 4 აპრილის ნაშუადღევს სრულიად გადადებენ მუშათა, სალდათთა საბჭოს და პეტროგრადის გმირთა ქვრივ-ობლების სასარგებლოდ.

გამგეობა.

---

პროფესიონალურ ორგანიზაციის მომწყობი კომისია სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა შორის ამით აუწყებს ამხანაგებს (ნოქრებს, კანტორის მოსამსახურეებს და სხვა მუშებს სავაჭრო სამრეწველოისას, აგრეთვე მსახური წვრილ საკრედიტო და სხვა დაწესებულებების) რომ სამშაბათს, 3 აპრილს დილის 10 საათზე სახალხო სახლში (კიროჩნის ქ.) გაიმართება პროფესიონალურ კავშირის

## დამფუძნებელი კრება.

განსახილველი საკითხები:

1) კომისიის მოხსენება.
2) წესდების განხილვა და დამტკიცება.
3) დელეგატის არჩევა მუშათა დეპ. საბჭოში.
4) კითხვები, რომელიც დაისმება კრებაზე.

2—1

---

**ექიმი გ. გ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთ ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**გ. გ. მეგრაბიანი**

შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყველანაირ ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible], —[illegible]. დიდი სადიონოიდი სპეციალური წოლება და არხონვალის ტოკითა ფილტვების ავათმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაჯარის ჭიების, სისხლ ნაკლებობის, ფძილობის, ნევრალგიისთვის. ხორხმულის ტენის ავათმყოფობა, ასთმის, [illegible], და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

**ექიმი ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ქ. ქუთაისში.

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

**ექიმ გ. ი. გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

---

## დემოკრატიული თვითმართველობა.

მეფის ტახტი დაემხო, მარა ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ეჭვს გარეშე რეაქციონერები პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე რესტავრაციას ანუ თვითმპყრობელობის აღდგენას შეეცდებიან. საჭიროა ამ თავიდანვე შესაფერი ზომების მიღება, რომ კონტრ-რევოლიუციას ნიადაგი გამოვაცალოთ და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება უზრუნველვყოთ.

ძველი წყობილება ემყარებოდა არა მხოლოდ ჯარსა და პოლიციას, არამედ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებსაც, სადაც დღემდის გაბატონებული იყვენ მემამულენი, ვაჭარ მრეწველნი და სახლის პატრონნი. არსებული საერობო და საქალაქო თვითმართველობანი საერთოთ რეაქციის ბურჯს წარმოადგენენ. პოლიცია თავისი თანამდებობიდან გადააყენეს, ჯარის კონტრ რევოლიუციონური ელემენტებისაგან გაწმენდას შეუდგენ, ხოლო ქალაქისა და საერობო თვითმართველობათა ორგანოებში მოკალათებული რეაქციონერები ჯერჯერობით თავის ადგილზე რჩებიან. განა საეჭვოა, რომ ეს პირები, როცა დადგება ხელსაყრელი მომენტი, დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკვეთებიან და მის დასამარებას ყოველი ძალღონით შეეცდებიან! დღეს ისინი სდუმან. მუდამ ასე ხდება დიდი ცვლილების პირველ დღეებში. მარა გაივლის ხანი. ძველი წყობილების მომხრენი გონს მოვლენ, თავისი რაზმების შეკავშირებას შეუდგებიან და დაკარგული ბატონობის დაბრუნებას შეეცდებიან. აქ მათ დიდ სამსახურს გაუწევს რეაქციონური ადგილობრივი თვითმართველობა. ამიტომაც არის რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს კონტრრევოლიუციონერთა ბუდის ახლავე დაფუშვას. ეს კარგათ იცოდენ ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ხელმძღვანელებმა. იაკობინელებმა ხელთ იგდეს პარიზის კომუნა და ის რევოლიუციის მთავარ იარაღად გამოიყენეს. მით უფრო აუცილებელია ეს ჩვენში, სადაც კლასთა წინააღმდეგობამ უფრო გარკვეული სახე მიიღო და სადაც მემამულენი და მსხვილი სახლისპატრონნი, საერთოთ ქალაქის პლუტოკრატია უფრო აშკარა რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებენ.

ადგილობრივი თვითმართველობის დემოკრატიზაცია დღიურ წესრიგში ისმება. ამას მოითხოვს მუშათა კლასი და რევოლიუციონური ჯარი. მოსკოვში ქალაქის თავი ჩელნოკოვი თავისი ამხანაგითურთ გადააყენეს. დროებითი მთავრობა ამ საკითხის გადაჭრას აგვიანებს. ეს რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს. ახალი წყობილება განმტკიცდება, როცა ის მაგრათ გაიდგამს ფესვებს ხალხის გულში, როცა რეაქციონერთ ხელიდან გამოეცლება ისეთი ძლიერი კავშირი და მზა აპარატი, როგორიც არის ადგილობრივი თვითმართველობა. ამას კარგათ გრძნობს მუშათა კლასი და რევოლიუციონური ჯარი. ამიტომაც იყო ადგილობრივმა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაადგინა დაუყონებლივ წამოაყენოს საკითხი ქალაქის თვითმართველობათა განახლების შესახებ, რაც უნდა მოხდეს დემოკრატიული საარჩევნო წესის თანახმათ; აგრეთვე დაუყონებლივ უნდა შემოღებულ იქმნას დემოკრატიული საერობო თვითმართველობა. დღეს ზოგიერთ მაზრებში მართვა-გამგეობას შემთხვევითი პირები დაეპატრონენ და ხალხს ბატონებათ ევლინებიან. დემოკრატიული თვითმართველობა ნიადაგს გამოაცლის როგორც რეაქციას, ისე იმ ვაჟბატონებსაც, რომელნიც სარგებლობენ მომენტით და თავის ბნელ საქმეებს აწყობენ. მთელი რევოლიუციონური მართვა-გამგეობა განახლებული თვითმართველობის ხელში გადავა.

ახლო მომავალში უნდა მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი კენჭის ყრით განურჩევლათ სქესისა. მას წინ უნდა უძღოდეს ასეთივე საარჩევნო წესის თანახმათ ადგილობრივი თვითმართველობის აგება. ეს ხელს შეუწყობს ხალხის გათვითცნობიერებას და კონტრ-რევოლიუციის ალაგმვას.

ამხანაგებო! მოითხოვეთ ყველგან ქალაქის თვითმართველობის დაუყონებლივი დემოკრატიზაცია და დემოკრატიული ერობის შემოღება!

---

## რუსეთის რევოლიუცია და ქართველი ნაციონალისტები.

ყველამ იცის, თუ როგორი უნდობლობით უცქეროდენ წინეთ ქართველი ნაციონალისტები რუსეთის დემოკრატიას. რუსეთის დემოკრატიასთან კავშირი, მასთან ერთად მოქმედება ძველი წყობილების დასანგრევათ და ახალის დასამყარებლათ მათ ქართველი ხალხის ინტერესების შელახვათ მიაჩნდათ. ამ „თავხედობისათვის" ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს ისინი რუსეთის მთავრობის აგენტებათაც კი ნათლავდენ.

დადგა დიადი ჟამი. რუსეთის მთელი წყობილება დაეცა, დაეცა სწორეთ დემოკრატიის ხელით. დღეს მის მიერ მოპოვებული თავისუფლებით ჩვენი ნაციონალისტებიც სარგებლობენ. გონიერება მათი მხრივ მოითხოვდა, რომ წინანდელი დამოკიდებულება დემოკრატიულ ძალებთან შეეცვალათ, ნდობით შეხედათ იმ ხალხისთვის, ვინც აუარებელი მსხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მოუპოვა თავისუფლება ყველას. მარა არა, ქართველი ნაციონალისტი რის ნაციონალისტია, თუ თავის ბუნებას უღალატებს. და აი, ისინიც განაგრძობენ შეცვლილი ჰანგით ძველი პოლიტიკის წარმოებას: თესავენ უნდობლობას რუსეთის დემოკრატიისადმი, მასთან შეუთანხმებლათ და ხშირათ მისი სურვილის წინააღმდეგ ლამობენ გადაჭრან რთული საკითხები. გაზეთი „საქართველო" ძალიან გულნატკენია იმით, რომ ჩვენში მოიპოვება ხალხი, რომელიც საქართველოს საკითხს სეპარატიულათ არ სწყვეტს, რომელსაც საჭიროთ მიაჩნია რევოლიუციონურ რუსეთთან ერთად სიარული. „მოიპოვებიან ისეთი პოლიტიკოსებიც, სწერს იგი, რომელნიც ფეხს ისე არ გადაასდგამენ, რომ მსოფლიოს არ გამოეხმაურონ: როგორ საერთაშორისო განწყობილებას შექმნის ეს ჩემი ნაბიჯი, როგორ შეხედავს ამას რევოლიუციონური რუსეთი და სხვ."

გაზეთი განაგრძობს: „ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი ქვეყანა ასეთი პოლიტიკოსებით მჭიდროთ არის დასახლებული".

ნაციონალისტურ გაზეთს სახეში სოციალ-დემოკრატია ჰყავს. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი დიდი უბედურება იმაში ყოფილა, რომ სოციალ-დემოკრატია ხელიხელ ჩაკიდებული მიდის რუსეთის დემოკრატიასთან ერთად. ეს გარემოება გონებას უმღვრევს შოვინისტ-ნაციონალისტებს. მათი შხამიანი გული ვერც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ შესცვალა. და ისინიც განაგრძობენ განკერძოებულ მუშაობას, სთესავენ ეროვნულ შუღლს კავკასიაში და აღვივებენ უნდობლობას დემოკრატიული და რევოლიუციონური რუსეთისადმი. ისინი არ ერიდებიან შავრაზმულ გამოსვლებსაც. მოიგონეთ მათი მოწოდება ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, გადაიკითხეთ წერილი თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს შესახებ და თქვენთვის ყოველივე ეჭვის გარეშე დარჩება, რომ ქართველი ნაციონალისტები მხოლოდ სიტყვით უჭერენ მხარს რუსეთის რევოლიუციას, საქმით კი კონტრ რევოლიუციონურ მუშაობას ეწევიან. მათი მოღვაწეობის ნაყოფი ჩვენ დავინახეთ, სხვათა შორის, ქუთაისში.

დროა ქართველმა დემოკრატიამ შესაფერი პასუხი გასცეს მათ თავაშვებულ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას.

ამხანაგებო, გაურკვიეთ ხალხს ყველგან მათი გამოსვლების დამღუპველი მნიშვნელობა. დაუპირდაპირეთ მათ შეკავშირებული ძალა და ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი ქართველი ხალხისა!

---

## საკაბინეტო ადგილ-მამულის კონფისკაცია.

რუსეთის იმპერიაში დიდძალი საკაბინეტო და საუფლისწულო ადგილ-მამულებია. რამდენიმე მილიონი დესეტინა მიწა-წყალი, მთამადნის მადაროები მეფის გვარეულობასა და თვით მეფის სასახლეს ეკუთვნოდა მაშინ, როცა რუსეთის დიდძალი გლეხობა წარმოუდგენელ მამულების სივიწროვეს განიცდიდა, სწორეთ ამ დროს რომანოვების გვარეულობა და მეფის ოჯახი უდიდეს მემამულეთ ითვლებოდენ და აუარებელ მიწა-წყალს ფლობდენ. დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ ერთი ნაბიჯი მიწის საკითხის მოსაწესრიგებლათაც გადადგა. ყველა საუფლისწულო ადგილ-მამული თავისი უძრავ და მოძრავ ქონებით მან სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადა.

ახლა იმავე მთავრობამ მეორე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. ამ ჟამით საკაბინეტო ანუ მეფე ნიკოლოზ მეორის საკუთარი მამულები, ტყეები, სამთამადნო მადაროები მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში გადადის. მთელი შემოსავალ-გასავალი სახელმწიფოს ხელში იქნება.

ძველ აბსოლიუტურ პოლიტიკურ წყობილებასთან ერთად დაირღვა ძველი სადგილმამულო ურთიერთობა. მთელი საუკუნოების განმავლობაში მემკვიდრეობით დიდძალი მამული და მიწა-წყალი გადადიოდა. ამ ხნის განმავლობაში მეფეები თავიანთ უსაზღვრო შემოსავლიდან ახალ-ახალ მამულებს იძენდენ და მთელს იმპერიაში უდიდეს მემამულეებათ ირიცხებოდენ.

გარდა იმისა, რომ მეფეთა საკუთარი მიწა-წყალი, აუარებელი მთა-მადაროებით დიდ შემოსავალს აძლევდა, ეს მათ პოლიტიკურ

ძალა-უფლებასაც ფრთებს ასხამდა. თითქმის ყოველ გუბერნიაში ქონდათ მამულები, საცა გლეხები დიდ ძალ საიჯარო გადასახადს იხდიდენ, რაც შეეხება საკუთარ მამულების იმ ნაწილებს, საცა საკუთარი წარმოება ქონდათ გაჩაღებული, იქ წმინდა ბიუროკრატიული წყობილება იყო განმტკიცებული. ჩვეულებრივ არმიას ზედ ემატებოდა საუფლისწულო და საკაბინეტო მამულებში მოსამსახურეთა არმია და მით ძველი მეფის რეჟიმი მტკიცდებოდა. მაგრამ ახლა მეფის ტახტის დამხობასთან ერთად მეფის ლატიფუნდიებს ნიადაგი გამოეცალა, მთელი საკაბინეტო მამული განახლებულ მთავრობის ხელში გადადის.

ეს პირველი ნაბიჯია მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში. აგრარული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამფუძნებელი კრების საქმე იქნება.

## ისინი მაინც განაგრძობენ!

ამ სამი კვირის წინეთ სოც.-ფედერალისტებმა და ნაციონალ დემოკრატებმა ქართველ ჯარისკაცთა და აფიცრებს მოუწოდეს დაეარსებინათ ცალკე ქართველთა სამხედრო ორგანიზაცია. თავის თავათ ცხადი იყო, რომ ნაციონალისტების ასეთ ნაბიჯს რევოლიუციონურ ჯარში დეზორგანიზაცია შექონდა და რეაქციას აძლიერებდა. ამიტომაც იყო, რომ ნაციონალისტთა ეს გამოსვლა დაგმეს ყველა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა განურჩევლათ მიმართულებისა და ქუთათურმა ფედერალისტებმაც კი აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მათ მიერ გამოშვებული მოწოდება და მთელი ამ ნიადაგზე მოქმედება შეცდომათ აღიარეს.

ხოლო თვით ჯარი, ნაციონალისტთა გამოსვლას უარყოფითი შეხვდა, შესაფერისი რეზოლიუცია გამოიტანა და ერთხელ და სამუდამოთ გააფრთხილა ნაციონალისტები ნუ განიმეორებენ ასეთ შეცდომასა და ნუ შეიტანენ ჯარში ქართველთა ცალკე ორგანიზაციას. ნაციონალისტებმა ერთხანს თითქოს მართლაც გაუწიეს ანგარიში რევოლიუციონურ ორგანიზაციების აზრს, მარა როგორც ჩანს ეს იყო მხოლოდ დროებით. გუშინ თფილისში ისევ გავრცელდა „ქართველთა სამხედრო კავშირის" ფურცელი, რომელიც მოუწოდებს ქართველ ჯარის კაცთა და აფიცრებს: **„შემოკრბენ და შეკავშირდენ ქართველთა სამხედრო კავშირის გარშემო"**.

რას ნიშნავს ეს, გაუგებრობას თუ რევოლიუციონური ორგანიზაციების აბუჩათ აგდებას?! ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელს. ნაციონალისტები არც ისე პოლიტიკური ბალღები არიან, რომ არ ესმოდეთ რას სჩადიან. მათ საქციელს ჯეროვანი პასუხი უნდა გასცენ რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა.

## მართალია თუ არა ეს?

ქუთათურ გაზ. „სამშობლოში" სწერია: აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: აიკრძალოს ყაზარმებში სალდათთა შორის „თანამედროვე აზრისა" და „ორიზონის" კითხვა. ამ გაზეთების მაგიერ გამოწერილ იქნას შეძლებისა და გვარათ სხვა რევოლიუციონური გაზეთები.

ნუთუ მართალია ეს?

ნუთუ ქუთათური გაზეთი სიმართლეს იტყობინება და ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი მართლა უკრძალავს თავისუფალ მოქალაქე ჯარისკაცებს გაზეთების კითხვას?

თუ ეს მართალია, რით ხელმძღვანელობდა კომიტეტი?

ჩვენ ველით უკანასკნელისაგან განმარტებას!

## დეპეშები

[illegible]

**კადეტთა სიეზდის დახურვა.**

**პეტროგრადი.** 28 მარტი. კადეტების სიეზდი დასრულდა. აგრარული საკითხის შესახებ რეზოლიუცია არ გამოუტანიათ. სიეზდმა ცენტრალურ კომიტეტს შექმნას კომისია, რომელიც გადაამუშავებს პარტიის აგრარულ პროგრამას და გაუკეთებს მოხსენებას მომავალ სიეზდს. კრებამ საჭიროდ დაინახა გააძლიეროს ჯარში აგიტაცია-პროპაგანდა და გამოუშვას ქალაქებისა და სოფლებისთვის იაფფასიანი წიგნაკები და გაზეთები რაც შეიძლება მეტი. სხდომაში მონაწილეობას იღებდა სახალხო განათლების მინისტრი მანუილოვიც, მას ოვაციები გაუმართეს. სიეზდმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა კოროლენკოს და დაადგინა დაადგას გვირგვინი რევოლიუციის მსხვერპლთ.

**პედაგოგთა კავშირი.**

**პეტროგრადი.** 27 მარტი. დირექტორებისა უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების წარმომადგენელთა თათბირმა გადაწყვიტა დაარსონ კავშირი, რომელიც მერე უნდა გახდეს სრულიად რუსეთის კავშირათ.

**აფიცერთა დეპუტატთა საბჭოს დადგენილება.**

**ნიჟნი ნოვგოროდი.** 28 მარტი. ნიჟნი ნოვგოროდის გარნიზონის აფიცერთა დეპუტატთა საბჭომ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ომი უნდა გაგრძელდეს მთელი ძალების მობილიზაციით მოკავშირეებთა შეთანხმებით მანამ, სანამ მოპოვებული დემოკრატიული უფლებები არ განმტკიცდებიან ყველა ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე და მანამ, სანამ გერმანია არ უარყოფს ძალმომრეობითი დაპყრობის პოლიტიკას".

**არეულობა.**

**ადესა.** 28 მარტი. ბენდერში გაგზავნეს მეზღვაურთა ცხენოსანთა რაზმი, რათა ზომები მიიღონ იქ მომხდარ არეულობის ჩასაქრობათ. შტაბის უფროსმა ინახულა ბესარაბიის კომისარი და ითათბირა მასთან იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ არეულობის წინააღმდეგ.

**კოოპერატორთა სიეზდი.**

**მოსკოვი.** 28 მარტი. კოოპერატორთა სიეზდმა აუცილებელ საჭიროებათ სცნო გლეხობას ქონდეს თავისი ინტერესების დამცველი საკუთარი ორგანო გლეხთა დეპუტატების საბჭო.

სიეზდმა მიიღო რეზოლიუცია ომის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ იგი იწონებს მთავრობის უკანასკნელ განცხადებას დაპყრობითი პოლიტიკის უარყოფის შესახებ და მოუწოდებს ყველას დაიცვან რუსეთის მთლიანობა და თავისუფლება.

**დროებითი მთავრობის დადგენილება.**

**პეტროგრადი.** 28 მარტი. ჯარისა და „ზურგის" უზრუნველყოფის ინტერესებმა მოითხოვეს, რომ მთელი პურის ხორბალი გადაცემოდა სახელმწიფოს, ამიტომ დროებითი მთავრობის ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის აყვავებას; ყანების დასათესათ და ჯარისა და „ზურგის" გამოსაკვებათ საჭიროა მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები: დაარსდეს განსაკუთრებითი ორგანოები, რომლებიც უხელმძღვანელებენ სოფლისათვის სამუშაო იარაღის, ხორბალის, რკინის, მუშა ხელის და სხვა ნივთების მოწოდების საქმეს. ეს ახალი ორგანიზაციები დაკავშირებული უნდა იქნენ საერთო სახელმწიფოს სასურსათო კომიტეტთან და ყველა ამას უნდა ხელმძღვანელობდეს სამიწათმოქმედო მინისტრის ერთ ერთი ამხანაგი. და ყველა ამ საჭიროებისათვის უნდა დაარსდეს სამინისტროსთან ცალკ-ცალკე განყოფილებანი.

**ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და ომის საკითხი.**

**ნიჟნინოვგოროდი.** 28 მარტი. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „აუცილებელია თავდაცვითი ომი და მისთვის ყველა ძალების მობილიზაცია, რათა არ მიეცეს მტერს საშვალება თავისუფალი რუსეთის განადგურებისა. რუსეთის ხალხს არ სურს სხვისი დაპყრობა და კონტრიბუცია. ყველა ერმა უნდა მიიღოს თვითგამორკვევის უფლება. უნდა აღდგენილ იქნენ: პოლონეთი, ბელგია, სერბია, ჩერნოგორია, რუმინია და საბერძნეთი. ომისგან ყველა განადგურებულმა ერებმა უნდა მიიღონ ძმური დახმარება. სამშვიდობო კონფერენციამ უნდა დაადგინოს საერთოთ შეიარაღების მოსპობა. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოწვეულ იქნეს ინტერნაციონალი, რათა ხელი შეუწყოს დაჩქარებითი ზავის ჩამოვარდნას". აქაურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ არც ერთი ყოფილი პოლიციელი და ჟანდარმი მიღებული არ უნდა იქნენ მილიციაში.

**სოც. დემ. დეპუტატი ტულიაკოვი ხარკოვში.**

**ხარკოვი.** 28 მარტი. აქ მოვიდა სახ. დუმის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ტულიაკოვი, რომელმაც მოაწყო რამოდენიმე მიტინგი. გზაში ვაგონში ტულიაკოვს მოპარეს საბუთები, რევოლვერი და 200 მან. ფული.

**პეტროგრადი.** 28 მარტი. 7 აპრილს პეტროგრადში გაიმართება ადგილობრივ შრომის ჯგუფის დეპუტატების სიეზდი, განხილული იქნა საკითხი ომთან დამოკიდებულებისა და დამფუძნებელ კრების არჩევნებისა.

— 28 მარტს მოხდა მოლაპარაკება არმიის დელეგატების ჯარისკაცთა და მუშების დეპუტატების საბჭოს მიერ 29 მარტს სიეზდის გახსნის შესახებ. დეპუტაციამ განაცხადა, რომ არმია სრულ ნდობას უცხადებს ახალ მთავრობას. თავმჯდომარე მინისტრმა თხოვა გადასცენ გულწრფელი სალამი ჯარს.

იუსტიციის მინისტრს კერენსკის დეპუტაცია ჯარის მინდობილობით მიესალმა და აუწყა, რომ მისი ღრმა რწმენით, ახალი მთავრობა განკურნავს ხალხს წყლულს. ა. ფ. კერენსკიმ გადაკოცნა რა დეპუტატები განაცხადა: „მთავრობა არ ემსახურება დაპყრობის მიზნებს. ომის ერთი მიზანია—დაცვა, გამარჯვებით დაბოლოვება, რაც უზრუნველჰყოფს თავისუფალ თვითმართველობას ყოველივე ხალხისას. რუსეთის ჯარმა მიიღო ახლა ისეთი მოქალაქეობრივი თავისუფლება, რომელსაც ჯერ მსოფლიოში ადგილი არ ქონია. დროებითი მთავრობის და ჯარისკაცთა და მუშების დეპუტატების საბჭოს დამოკიდებულების შესახებ კერენსკიმ განაცხადა, რომ თუმცა დღემდე ხდებოდა მათ შორის უთანხმოება, მაგრამ ყველაფერი სწორდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლით. ციმბირის მსროლელ დივიზიის დეპუტაციამ წარადგინა დივიზიის დადგენილებანი, სადაც დროებით მთავრობა აღიარებულია, როგორც ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი სახელმწიფოის. დივიზია აცხადებს მიიყვანონ ომი ბრწყინვალე გამარჯვებამდი, და არ მიიღონ სამარცხვინო ზავი მოკავშირეთა შეუთანხმებლათ.

**პეტროგრადი.** 29 მარტი. გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა შეიტანა დროებით მთავრობაში წინადადება, რომ გაუქმებულ იქნეს უფასო რკინის გზის ბილეთები, რომელნიც გამოცემულნი იყო ყოფილ მინისტრისაგან მოსამსახურეთა სახელზე.

## ახალი ამბები

**პროპაგანდისტთა კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე სასახლეში დანიშნულია სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კრება.

◆ გ. ქუჩიშვილი, აბაშელი, შ. შარაშიძე, პ. საყვარელიძე, კ. ქარცივაძე, ქავთარაძე, ჯაფარიძე და მათი თანამოაზრენი აცხადებენ, რომ მათ არავითარი კავშირი არ აქვს იმ გაზეთთან, რომლის გამოცემას „ჩვენი ერთობის" სახელით აპირებს რომელიღაც ჯგუფი.

◆ **რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი.** 6 აპრილს თფილისში დანიშნულია ამიერკავკასიის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი. გასარჩევია სხვადასხვა ფრიად საყურადღებო კითხვები როგორც პოლიტიკური ხასიათისა, აგრეთვე კერძოთ რკინის გზის მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. სხვათა შორის უნდა არჩეულ იქმნას სამი დელეგატი პეტროგრადში გასაგზავნათ სრულიად რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა სიეზდზე. წინასწარი ცნობების მიღება სიეზდის შესახებ შეიძლება ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ივ. ზურაბიშვილთან (судебн. отд.), ისიდ. მალანიასთან (сл. движенія) და ვიკ. ნინიძესთან (сл. сборовъ).

◆ **გაუგებრობა.** აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით დაჭერილია პროვოკატორი მიხეილ ქელეხნიაკოვი. აქ თფილისში ცხოვრობს მოქალაქე მოსე იცკას ძე ქელეხნიაკი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს პირველთან.

◆ **დატუსაღება.** აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით 29 მარტს დაატუსაღეს პროვოკატორი კონონი ციცქიძე და ჯაშუშები ანდრეი ივ. პოგრემნიაკი და შევჩუკი, ორი უკანასკნელი ქუჩაში იცნეს აღმასრულებელმა კომიტეტის წევრებმა და იქვე დაატუსაღეს.

◆ **პროფესიონალური კავშირი.** რესტორანების, კლუბების, სასტუმროების და საჩაისაყავეების გამგეობა ამით აუწყებს თავის წევრთ, რათა აირჩიონ წარმომადგენელი თითო-ოროლა პირთა (დელეგატი) და გამოგზავნოთ 4 აპრილს, სამშაბათს ოთხ საათზე, კავშირის კონტორაში—განსახილველია მეტად რთული საკითხი.

◆ **ლექცია.** დღეს 31 მარტს სახალხო სახლში პ. საყვარელიძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე „თანამედროვე მდგომარეობა და დემოკრატიული რესპუბლიკა".

◆ ნაძალადევის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგეობამ აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა მან დაუთმოს მიწა სამკითხველოს ასაგებათ, ხუდადოვის ქუჩის პირათ. გამგეობამ დაადგინა უკვე გამოწერილი გაზეთების გარდა გამოიწეროს კიდევ დამატებითი შემდეგი გაზეთები: „День" «Рабочая газета» (რუსეთის) და ადგილობრივი „Кав. рабочій".

◆ **კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში** 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, შესდგა კავკ. სამხ. ოლქის შტაბის აფიცერთა და ჯარისკაცების საერთო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) დღევანდელი მომენტი; 2) აფიცრებისა და ჯარისკაცთა ურთიერთ დამოკიდებულება და 3) მოხსენება ჯარისკაცთა ორგანიზაციებზე. თანამედროვე მომენტის შესახებ ილაპარაკეს აფიცრებმა, რომლებმაც ერთობ ეჭვის თვალით შეხედეს მუშების და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს „ყველა ქვეყნის ხალხისადმი" მანიფესტის მნიშვნელობას და აღიარეს ლოზუნგი: „ომი ბოლომდის", მათ წინააღმდეგ ილაპარაკა ჯარისკაცმა ამხ. ც. ნ—რაძემ, რომელმაც, სხვათა შორის აღნიშნა, რომ რუსეთის დემოკრატიას დღეს მიეცა საშუალება თავისი სურვილების გამოთქმისა და ხსენებული მანიფესტიც სავსებით გამოხატავს მის სულისკვეთებას, რომ ბოლოს და ბოლოს ხსნა კ. მარქსის ლოზუნგის: „პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შეერთდით" პრაქტიკულათ განხორციელებაშია. მცირე კამათის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქმნა ამხ. ნიჟარაძის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია: „კავკ. სამხ. ოლქის შტაბის სამხედრო პირთა საერთო კრება ესალმება პეტროგრადის მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს „ყველა ქვეყნის ხალხისადმი" მოწოდებას და უერთდება ლოზუნგს: **„ომი თავისუფლებისათვის"**! მეორე კითხვის შესახებ გადაწყვიტეს დაავალონ საორგანიზაციო კომიტეტს მომავალ საერთო კრებას წარუდგინოს პეტროგრადის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი განსახილველათ, რათა კრებას მიეცეს საშუალება თავისი შეხედულება გამოსთქვას ხსენებულ პროექტზე. დასასრულ, კრებამ მოისმინა სამხედრო ორგანიზაციების შესახებ ამხ. ივანოვის მოხსენება და სავსებით მიიღო იგი.

◆ **დახურეს** გოლოვინის პროსპექტზე გენეს საკონდიტერო, რადგან, წინააღმდეგ სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა, კულიჩები და პასკა გამოუცხვია.

## პროვინციის ქრონიკა.

**ქუთაისი.** ქალაქის გამგეობამ მიიღო 12 ვაგონი თეთრი პურის ფქვილი.

— ქუთაისში გამოვიდა დასელთა ყოველდღიური ორგანო „სოციალ დემოკრატი".

— ყოფილ სამხედრო ცენზორი სუდაკოვი საქალაქო აღმ. კომიტეტმა სამსახურიდან გადააყენა.

— ქუთაისის სოც. დემოკრ. პარტიის კომიტეტმა უკვე გამოსცა პროგრამა, რომელიც იყიდება მუშათა საბჭოს ბინაზე, ფასი 15 კ.

— ადგ. საკონდიტეროებში აკრძალულია ტკბილეულობის გამოცხობა.

— შაბათს ქუთაისში გაიმართა მუშა ქალთა საერთო კრება. მუშა ქალების და საერთოთ ქალების კრება 21 მარტს გაიმართა ქალაქის თეატრში, მაგრამ მამულიშვილმა ქალებმა („კლუბის ქალები") ერთად არ ისურვეს „შავ მუშა" ქალებთან ერთად მოქმედება, ამისათვის მუშა ქალები ცალკე შეიკრიბენ შაბათს. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ც. დარახველიძისა, მდივნათ მეძმარიაშვილი. მოხთა არჩევნები, კრება ერთსულოვანი და საქმიანი იყო.

— ქალაქის გამგეობის კანტორის მოსამსახურეებს ჯამაგირები გაუდიდეს 70—20% დე.

— საგუბერნიო სტამბის მუშები სააღდგომოთ ერთი თვის ჯამაგირით დააჯილდოვეს.

— შაბათს, 25 მარტს ზემო საფიჩხიაზე გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე სოც.-დემ. ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვა, შემდეგ მოხდა არჩევნები აღმ. კომიტეტისა 12 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი.

— დიდი რევოლიუციის გამოცხადების შემდეგ ქუთაისში სოც. დემოკრატიულ პარტიის დიდი მუშაობაა, ყველა დარგის მუშები ადგენენ პროფესიონალურ კავშირებს, რომელზედაც იგზავნება ს.-დემოკ. პარტიის ორატორები და ხელმძღვანელობენ მათ, უხსნიან თანამედროვე მომენტის და პროფ. კავშირის მნიშვნელობას.

——

**ფოთი.** ხუთშაბათს, 23 მარტს აქ მოხდა მოწაფე-მარქსისტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ასზე მეტი ამხანაგი და აგრეთვე რამოდენიმე პირი ადგილობრივი სოც.-დემოკრ. ორგანიზაციიდან. კრების მიზანი იყო: 1) დელეგატის ამორჩევა თფილისში მოწაფე-მარქსისტთა კონფერენციაზე გასაგზავნათ; 2) ადგილობრივ მოწაფეთა კომიტეტის წევრთა არჩევა; 3) წარმომადგენლების არჩევა ადგილობრივ ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში კრებებზე დასასწრებლად.

დელეგატათ აირჩიეს ამხანაგი ალექსანდრე ჯიბლაძე. მოწაფეთა კომიტეტში: სონია უშვერიძე, დარეჯან თაყაიშვილი, ალექსანდრე ქიქოძე და პლატონ კვაშილავა. თავმჯდომარედ ისაკი ცაავა. წარმომადგენლებათ ადგილობრივ ორგანიზაციაში კრების დასასწრებლათ: მარია სულუხია, აკაკი კალანდარიშვილი და ალექსანდრე ტუღუში.

——

**სამტრედია.** აღმ. კომიტეტმა აირჩია კომისარიატში გრიშა ურუშაძე, ილია, თევზაძე და ისიდორე სტურუა. კომისარიატი განაგებს მთელ სამტრედიის რაიონს. შესდგა სახალხო მილიცია.

— სადგურ სამტრედიის პირველი კლასის ბუფეტში კომისარმა დაატყვევა ცნობილი კოწია ცომაია, რომლის შესახებ მოწერილობა იყო აბაშის აღმ. კომ. კომისარისაგან. დატყვევებული წაიყვანეს ოთახში. ცომაიას აღელვება არ ეტყობოდა. მან მხოლოდ სთქვა: „ცუდი სურათი გადამეშლება თვალ წინო", ამასობაში იძრო რევოლვერი და საფეთქელში გაირტყა და იმ წამსვე სული დალია.

ქურდ-ბაცაცობა სადგურზე მოისპო. სასტიკათ დაცულია მშვიდობიანობა. გაძლიერებულია თვალყურის დევნება არა საიმედო პირებზე.

— ცნობილმა სევერიანე ფრანგიშვილმა, ქუთაისში სამსახურის დროს, ბოროტმოქმედება ჩაიდინა. სადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად დაადგინეს, გადააყენებულ იქმნას ხსენებული ფრანგიშვილი სამსახურიდან.

——

**ს. შემოქმედი.** 14 მარტს ს. შემოქმედში მოხდა დიდი საჯარო მიტინგი. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. ილაპარაკეს ორატორებმა, გამოიტანეს რეზოლიუციები: გამოუცხადონ სრული ნდობა ახალ მთავრობას, გაეგზავნოს დეპეშები პეტროგრადში დეპ. ჩხეიძეს, აღმასრულ. კომიტეტს და მუშათა საბჭოს. დაითესოს ყანები, დაცულ იქმნას კერძო საკუთრება და აღკრძალულ იქმნას ყოველგვარი ძალდატანება და სხვა. მიტინგის გახსნამდის მანიფესტაცია გამართა ადგილობრივმა უმაღ. პ. დ. სკოლამ, სიმღერით და დროშით გაიარა ქუჩები და მერე გამოცხადდა მიტინგზე. სოფელში სრული სიწყნარეა და ხალხი დიდიან პატარიანათ მუშაობს.

**საჩიჯამიში.** 22-ს, ქალაქში შენიშნეს შორაპნის მაზრაში კარგათ ცნობილი პოლიციელი ივ. ბიწაძე, იგი სადგურისაკენ მიეშურებოდა. სადგურზე გამოირკვა, რომ ბიწაძეს მატარებლით უნდოდა სადღაც წასვლა, მარა დააკავეს. ბიწაძეს აღმოაჩნდა ერთი საბუთი:—агентъ сыскнаго отдѣленія—მეორე კი:—старшій урядникъ, აღმოაჩნდა აგრეთვე მოკლე თოფი—ვინტოვკა და ტყვიები. დატყვევებული ციხეში გაგზავნეს.

**ძ. კარაკილისა.** კვირას, 19 მარტს, აქ გაიმართა ჯ. კაცების, აფიცრებისა და მუშების კრება. კრება 12 საათზე გაიხსნა, თავმჯდომარეობდა სამხედრო ექიმი ვ. კ. კრება შუა ქალაქში იყო. დაესწრო სამიათასამდე კაცი. იქვე იყო ამართული თავისუფლების წითელი დროშა ოცდა ათამდე, დაწერით: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს", მღეროდენ მარსელიოზას [illegible] ქართულად, რება დაიშალა [illegible]ზე დ.

**ს. დიდი ჯიხაიში.** 19 მარტს აქ მოხდა საზოგადო კრება, სადაც არჩეული იქნა 65 ოცისთავი, არჩევნები სასურველად ჩატარდა.

— 22 მარტს ამხ. ა. შუბლაძის თავმჯდომარეობით მოხთა ოცის თავების კრება, არჩეულ იქნა გლეხთა საბჭოს შემადგენლობა შემდგარი 7 კაცისგან, სარაიონო წარმომადგენლათ აირჩიეს ა. შუბლაძე კამისარათ ა. მელქაძე. დაარსდა სხვადასხვა ფუნქციების კომისიები საბჭოში და კომისიებში აზნაურებიც შედიან წესიერება დაცულია.

## საგლოვიარო წერილები.

„ერთობის" რედაქციამ დეპ. კარ. ჩხეიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: დიდათ დაგვამწუხრა ტასიკას ტრაგიკულათ გარდაცვალებამ, შენთან ერთათ ვიზიარებთ მოულოდნელ უბედურებას.

— შვილის ტრაგიკულ გარდაცვალების გამო მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს დეპ. კარლო ჩხეიძეს თფილისიდან 29 მარტს გაუგზავნეს შემდეგი დეპეშა:

„ღრმათ შეგვაძრწუნა იმ უბედურებამ, რომელიც ასე მოულოდნელათ თავს დაგატყდათ. თქვენს წუხარებას იზიარებს მთელი რევოლიუციონური რუსეთი, აგრეთვე თქვენი სამშობლო საქართველო, რომელიც მაღლა აფასებს თავდადებას და სიმამაცეს თავის შვილის, რუსეთის დიდებულ რევოლიუციის გმირისას. დაე ხალხის სიყვარულმა თავის ბელადისადმი ნუგეში მისცეს მას პირად წუხარებაში და მიანიჭოს ძალა და ღონე, რათა განაგრძოს მან ძლევამოსილი ბრძოლა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის".

ალექსანდრე ყანჩელი, იაკობ ნიკოლაძე, შალვა ამირეჯიბი, კოტე მაყაშვილი, გრიგოლ დიასამიძე.

— როგორც კი მოვიდა სამწუხარო ცნობა კარლოს ვაჟის გარდაცვალების შესახებ, ნოე ჟორდანიამ და აკაკი ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა პეტროგრადს: „დეპუტატ ჩხეიძეს საჩქარო. ღრმათ დამწუხრებულნი ვართ საშინელ ცნობით სტასიკის შესახებ. სულით და გულით შენთან ვართ ამ მწუხარების დროს. უდიდეს პოსტიდან შენ ვერ დაგანძრევს პირადი უბედურება. ჩვენ დამშვიდებული ვართ, გკოცნით".

— კარლო ჩხეიძეს შვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, სამძიმრის [illegible]პეშა გაუგზავნეს ამიერ კავკასიის კომიტეტმა და კომიტეტთან არსებულ სათათბიროს წევრებმა.

## ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

ოთხშაბათს, 29 მარტს მოხდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარსული კრების გაგრძელება (იხ. „ერთობა" № 12).

სანამ მოხსენებათა განხილვას შეუდგებოდენ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი ამხ. კუზნეცოვი აცხადებს, ვინაიდან აფიცერთა ფართო მასსა რჩება სამხედრო ორგანიზაციათა გარეშე, კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია აფიცერთა ცალკე შეერთება რაიმე სახის კავშირში, რომ საშუალება მიეცეს მათ საერთო საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ეს წინადადება დიდ კამათს იწვევს. ამხ. დ. პოპოვი ამტკიცებს, რომ ჯარისკაცთა და აფიცერთა შორის არის ინტერესების სხვადასხვაობა ეკონომიურ სფეროში და ამისთვის უნდა მოხდეს აფიცერთა შეკავშირება ცალკე. ეს ერთის მხრით შეძლებას მოგვცემს გამოვარკვიოთ აფიცერთა პოლიტიკური მრწამსი, ხოლო მეორეს მხრით ასეთი კავშირის ჯარისკაცთა ორგანიზაციებთან ერთად მუშაობაც მეტ ნაყოფს მოიტანს. სხვა ორატორებს კი ასეთი გამოცალკევება აფიცრებისა ჯარში განხეთქილების შეტანათ მიაჩნიათ. რადგანაც ამ კითხვაში თვით აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა შორისაც აღმოჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო კითხვა თავისთავათ მეტათ სერიოზულია, საბჭომ ერთხმათ გადასწყვიტა დატოვოს იგი ღიათ და დაავალოს კომიტეტს შემდეგისთვის წარმოუდგინოს მას გარკვეული პასუხი.

იმართება კამათი წარსულ კრებაზე გაკეთებულ მოხსენებათა შესახებ. ამხ. სოსლავსკი ეხება აღმ კომიტეტის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ გამოცემული ბრძანებები არ ეყრდნობიან არავითარ რეალურ ძალას და ამისთვის არ ასრულებენ მათ, რაზედაც მომხსენებელი უპასუხებს, რომ ასეთი ძალა არსებობს, ქალაქში დადიან პატრულები, რომელთა მოვალეობაა უწესოებაში შენიშნული ჯარისკაცები წარადგინონ საორგანიზაციო კომიტეტში, სადაც დამნაშავენი დაისჯებიან. მთელი რიგი ორატორებისა მოითხოვს გაუქმებულ იქმნას სავაჭრო პოლიცია, განახლებულ იქმნას მილიციის შემადგენლობა, დაითხოვონ ქალაქის ცენზიანი სამართველო და ხმოსნების არჩევნები მოხდეს დემოკრატიულ პრინციპების თანახმათ, მოეწყოს ჯარისკაცთა განსაკუთრებული რაზმი, რომელიც გაჩხრეკს ყველა საწყობებსა და სარდაფებს, გამომუშავებულ იქნას დეზერტირების საწინააღმდეგო წესები და სხ. ამხ. ავაკიანცი ფიქრობს, აღმასრულებელ კომიტეტმა გადაჭრით თქვას, უნდა მისცენ თუ არა ჯარისკაცებმა სალამი (честь) აფიცრებს, შეუძლიათ თუ არა მათ ტრამვაით სარგებლობა უფასოთ და სხ. მოითხოვეს აგრეთვე აღ. კომიტეტი გამოეხმაუროს სამხედრო მინისტრის ა. გუჩკოვის ცნობილ

ბრძანებას ზედმეტი ოფიცრები და ჯარისკაცები არ დააბანდონ სხვადასხვა დაწესებულებებში და ამასთანავე საჭიროთ სცნოს ამ სახით მიაქციონ ყურადღება ერობასა და ქალაქთა კავშირებსაც, სადაც ძველი მთავრობის დროს ბევრმა შეაფარა თავი.

კრება იწონებს მოხსენებებს და აძლევს მომხსენებლებს წინადადებას, მიიღონ შემდეგისთვის მხედველობაში ორატორთა მიერ გამოთქმული შენიშვნები.

კავკასიის საზღვრო ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდის მოწვევის შესახებ გამომუშავებული პროექტს კითხულობს კომიტეტის წევრი სპირიდონოვი. სიეზდის მოწვევა განზრახულია 15 აპრილისთვის. კრებამ მიიღო წინადადება, შესწორებულ იქნას ეს პროექტი ფრონტიდან ჩამოსულ დელეგატთა თანდასწრებით და დღესვე დეპეშით გაიგზავნოს ჯარში.

შემდეგი კრება დანიშნულია კვირას, 2 აპრილს.

**ვ. ადამიშვილი.**

## ძველი სალდათი.

(ჯარ. კაცის წერილი).

„ნიჟნი ჩინმა“ ყოველთვის შუა ქუჩაზე უნდა იაროს, უნდა იცოდეს, რომ შენიშვნაც არ მისცეს უფროსმა, თუ შენიშნა მოდი და უთხარი შენს უფროსებს, რისთვისაც უფრო იოლათ დაისჯები, ვაი იმ შენ თუ [illegible] იტყვის, [illegible] ყველგან. ხოლო შენ საჭიროებაზე სიტყვაც არ დასძრა. სულ ერთია არ მოგისმენენ, არ შეიწყნარებენ შენს თხოვნას, პირიქით გაგლანძღავენ, მიწასთან გაგასწორებენ, საქონლათ გაქცევენ და შემდეგ ან თოფს ქვეშ გამოგამზეურებენ ერთ ფუთამდე ზურგზე აკიდებული ან [illegible] და ცივ, ნოტიო, ბნელ საკანში ჩაგამწყვდევენ, უქვეშსაგებლოდ, მარტო ფიცრებზე, სადაც კანონის ძალით დღეში ერთჯერ ცივ წყალს და დაობებულ პურს მოგცემენ.

ოფიცრის სიტყვის შებრუნებისთვის ს. სარიყამიშში, თვით პოლკის უფროსების გადაწყვეტილებით სამოცი როზგი დაარტყეს ერთ ჯარისკაცს. სადილის წინ, ერთმა ოფიცერმა, რომელიც თავის სიმკაცრით ყველას წინ წერო, ყველა ჯარისკაცებს შეუყვირა: გამოიყვანეთ „დამნაშავე“, უბრძანეს ისევ ჯარისკაცებს გაეტიტვლებინათ და დაეწვინათ მიწაზე, რაც ასრულებულ იქმნა. ამ „დამნაშავის“ ამხანაგს მთელი პოლკის ჯარისკაცების წინ გულშემზარავად გაარტყმევინეს. გვიბრძანებდნენ: „აი კარგა დააკვირდით თქვენც იგრე მოგივათო“. დასჯილი ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს დასისხლიანებული.

— ესროლეთ, ლახვრიტეთ, დაგლიჯეთ, მიწასთან გაასწორეთ თუნდაც თქვენი დედმამა იყოს, ძმა, ცოლი, შვილი — თუ მეფის და დედოფლის შთამომავლობის წინააღმდეგ თქვენ ვინმე რამეს — გვეუბნებოდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ასეთმა რწმენამ გამოიღო კიდეც ნაყოფი: ბევრი გამოასალმეს წუთი სოფელს, რისთვისაც სამ მანეთს საჩუქარს და მადლობას მიიღებდენ ხოლმე მომქმედი პირნი.

— კოვალიოვ! ხომ კარგი კაცი ვარ მე შენი როტის უფროსი? — ეკითხება ერთი მხეცის ტოლი როტის უფროსი თავის სალდათს.

— ისე თქვენო მაღალ კ—ავ ერთნაირად...

— როგორ თუ ერთნაირად, შე საქონელო როგორ თუ...

— „ტაკ ტოჩნო“ ძლიერ კარგი ბრძანდებით. საუკეთესო მამა ბრძანდებით ჩვენი — გააწყვეტინა სიტყვა კოვალიოვმა.

— შენ, პირუტყვო რით მამტკიცებ, რომ მე კარგი ვარ, ან რით მატყობ?

— არა თქვენო მაღ.-კეთილშობილებავ, კარგი კი არა... ისე.. ჰმ..

— ჩაკმიდე ხმა... ეხლავ აიკიდე შენი უნაგირი (რანცი) და თოფ-ქვეშ დადექი, რადგანაც შენ არ იცი როგორ უნდა ელაპარაკო უფროსს.

კოვალიოვი უფროსის ბრძანებას დაემორჩილა. თოფ ქვეშ დგომის დროს ცოტა შეინძრა, შენიშნულ იქნა და სასჯელი მოუმატეს.

**საქარელი მ.**

(დასასრული იქნება).

## მისალოცი წერილები.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის სადგურის მუშები და დაბალი მოსამსახურეები აგრეთვე რემონტის მუშები ცხოველ სალამს უძღვნიან თფილისის მუშათა საბჭოს და მის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და უსურვებენ მათ სრულ გამარჯვებას რეაქციასთან ბრძოლაში და დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებაში.

მონდობილობით **ხოლომონ ჯიბუტი.**

სალამი თქვენ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოვ! სალამი თქვენც მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგო ნოე. რუსეთის მუშათა მოძრაობასთან ერთათ თქვენც [illegible], რომ ჩვენ ქართველი მუშების ხელმძღვანელობა გეკისრათ. ეს თქვენ პირნათლათ შეასრულეთ.

ჩვენს გადმოხვეწილ მუშების სიხარულს საზღვარი არა აქვს. გისურვებთ ბრწყინვალე გამარჯვებას, ჩვენო მასწავლებელო. სალამი თქვენც ძვირფასო ამხანაგებო სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის წევრებო, გიძღვნით საერთოთ ყველას სალამს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენც მალე დაუბრუნდებით ჩვენს ძველს ამხანაგებს და ჩავებმევით მუშათა რაზმში და მით დავიცავთ დიდებულს თავისუფლებას, რომელიც მოპოვებულია მუშათა სისხლით.

**სტეპკო ფარქოსაძე.**

**სანდარა. ნოე ჟორდანიას.** მოძრაობის მუშების და ტელეგრაფზე მომუშავეთა შეერთებულმა კრებამ მომანდო მე, როგორც თავის წარმომადგენელს, სალამი გიძღვნათ თქვენ პროლეტარიატის მნათობს და აღმასრულებელ კომიტეტის მთელ შემადგენლობას. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და მის ჭეშმარიტ

## მჭედლის სიმღერა.

გაზაფხულდა... ჩაგრულთ მხარეს სიცოცხლის მზე მოეფინა,
შუქი მოხვდა ჩემს სამჭედლოს, შიგ კედლებსაც გაეცინა,
გავიღვიძე, ვსწვდი საბერველს, მინდა ქურა გავახურო,
გადავადნო ცივი რკინა, ხელთ ავღო მძიმე ურო,
გრდემლს მოვევლო სიხარულით მკერდ გახსნილი, მკლავ გაშლილი
და დავძახო ძლევის ჰანგი, გამარჯვების მოძახილი.
სალამს გიძღვნით მოკრძალებით ჩაქუჩებო, გრდემლო, ქურავ,
დღეს თქვენთან ვარ მხიარული ტანჯვის ცრემლში აღარ ვსცურავ,
გულს მიხარებს წმინდა შრომა, პატიოსან ოფლს ვიწურავ,
ხელებს ძალზე დავიკოჟრავ, სახეს შავად გავიმურავ,
რადგანაც დღეს აღარა ვსჭედ ჩაგრულთათვის ხუნდ-ბორკილებს,
თოხს, ბარს, სახნისს, ცულს ვუმზადებ თავისუფალ შრომის შვილებს.
და ჰა, გრდემლო, აზანზარდი, შრომის ქურავ აგუგუნდი,
ის მტარვალებს გადულოცოთ, რაც რომ ვსჭედეთ ბორკილ-ხუნდი;
დაინარცხა მტარვალთ ტახტი, გაიფანტა ყორანთ გუნდი,
და დევნილო შრომის შვილნო! ისევ კერას დაუბრუნდი!!
შამოვერტყათ გრდემლს გარშემო, განახლების ვსჭედოთ ხმლები,
მედგრათ ვკაფოთ ყოფნის ველზე, რაც რომ დარჩა ნარ ეკლები.

**ი. სიხარულიძე.**

წარმომადგენლებს. გაუმარჯოს რევოლუციონურ ჯარს და ხალხს. **ფიფინაშვილი.**

## თეოფილე თურმანიძის ხსოვნას.

გაზეთ „ასტრახანსკი ლისტოკში“ ვკითხულობთ: **მებრძოლის საფლავზე.** საქართველოდან პოლიტიკურ საქმეთა გამო გადმოსახლებულთა ინიციატივით 19 მარტს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა ჯგუფმა მოინახულა უდროვოდ დაკარგულ სოციალ-დემოკრატ თეოფილე თურმანიძის საფლავი. ერთმა დამსწრეთაგანმა ამხანაგის ნეშტს ჯერ აუწყა თავისუფლების დამყარება და მერე ორიოდე სიტყვით აღნიშნა განსვენებულის ღვაწლი და ვინაობა. თურმანიძე დაიბადა 1884 წ. სამეურნეო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მთელის თავის გატაცებით შეუდგა უმცირეს ძმათა ინტერესების დაცვას და ცივ სამარემდე ერთგულად შერჩა თავისს იდეალებს. მისი მუშაობა დაიწყო ბათუმის ორგანიზაციაში, შავბნელ რეაქციის დროს არა ლეგალურათ. თავგამოდებით ემსახურებოდა სახალხო საქმეს გურიაში, იმ გურიაში, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შესწირა ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას და მოგვცა ისეთი ცნობილი პიროვნებანი, როგორიც არიან ნოე ჟორდანია, ის. რამიშვილი და სხვ. 1912 წელში თურმანიძეს ვხედავთ ამიერ კავკასიის მუშათა ცენტრალურ ორგანოს რედაქციის წევრათ. აქ მას ატუსაღებენ და რამდენიმე თვე ციხეში ყოფნის შემდეგ ასტრახანში ასახლებენ, სადაც ის მსხვერპლი ხდება შემთხვევითი სიკვდილისა.

თეოფილე ცნობილი იყო პარტიაში დამჯდარ კეთილ სინიდისიერ და სერიოზულ მუშაკათ, ის ყოველთვის საპასუხისმგებლო ადგილზე იდგა.

წამოსვლისას ამხანაგებმა ძვირფასი ადამიანის საფლავზე ააფრიალეს წითელი დროშა ზედ წარწერით: „**ჩვენ გავიმარჯვეთ**“. ამ დროშის თვალყურის დევნება დაევალა ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას.

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში

### რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

27 მარტს შესდგა თფილისის სოციალ დემოკრატიული კომიტეტის სხდომა.

შემუშავებულ იქნა ახალი წევრების მიღების წესი. პარტიაში ჩასარიცხად საჭიროა რეკომენდაცია არა ნაკლებ ხუთი წევრისა. განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს საწევრო წიგნაკების და საანკეტო ფურცლების ფორმა.

ახალი წევრების მიღება მიენდო რკინის გზის მთავარ სახელოსნოში შემდეგ პირებს: 1) სბორნი ცეხში — ძაძამიას, 2) სახარატო ცეხში (ტოკარნი) — გიორგი ჩიქოვანს, 3) კოტელნი ცეხში — სანდრო მერაბაშვილს, 4) ვაგონის ცეხში — ალექსი ჩერნიშევს, 5) სადურგლო ცეხში — მელიტონ კუჭუხიძეს, 6) მალიარნი ცეხში — ივანე ნიკურაძეს, 7) ლიტეინი ცეხში — ნიკოლოზ ქადაგიშვილს, 8) სამჭედლო ცეხში — ყიფიანს.

რკინის გზის დეპოში იგივე საქმე მიენდო რიკაძეს და გიორგი ჟურულს; ქალაქის ტრამვაიში — მარსაკოვს, გიორგობიანს და ლორიას.

წევრათ ჩაწერა შეიძლება გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი“-ს რედაქციაშიაც.

კომიტეტმა ქალაქი დაყო ოთხ სამოქმედო რაიონათ. პირველ რაიონში შედის მეთერთმეტე და მეთორმეტე საპოლიციო უბნები უტრამვაიოთ; მეორეში — მეათე, მეცხრე და მერვე უბნები ტრამვაით; მესამეში — მეექვსე და მეშვიდე უბნები ნავთლუხით; მეოთხეში — ყველა დანარჩენი უბნები (I—V).

სხდომის დროს გამოცხადდენ ამხ. ა. ლომთათიძე და [illegible], რომელთაც რიგს გარეშე განაცხადეს, რომ მოსალოდნელია ქალაქში უწესოება მოხდეს სასურსათო კრიზისის ნიადაგზე. კომიტეტმა იქონია ამ საკითხზე მსჯელობა და საქმის ყოველ მხრივ გამოკვლევის შემდეგ დაადგინა: უწესოების თავიდან ასაცილებლათ გამოიწვიოს რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან 300 შეგნებული მუშა, რომელნიც ჯარისკაცებთან ერთათ ეცდებიან წესიერების დაცვას. იარმუკაზე წესიერების დაცვა მიენდოს პრაპორშჩიკების სკოლას. მუშებს გაცდენილი დღის ჯამაგირი უკლებლათ უნდა მიეცეს. მიეცეს წინადადება აღმასრულებელ კომიტ. დაუყოვნებლივ დააპატიმროს ძველი პოლიციელები, როგორც უმთავრესი მიზეზი მოსალოდნელი არეულობისა. გამოიცეს დროს შესაფერი მოწოდება დილისთვის, რის შედგენა მიენდო ჰ. აზატიანს. გამოწვეულ მუშების ხელმძღვანელობა მიენდო გნოევოის და კერესელიძეს.

ნ. ხომერიკი დაინიშნა კომიტეტის წარმომადგენლათ უკვე არსებულ პროპაგანდისტთა კოლეგიაში და მუშათა დეპუტატების საბჭოში.

კომიტეტს ბინა ექნება „ერთობის“ რედაქციაში.

კომიტეტის მდივნათ არჩეულ იქნა მ. ტოროშელიძე; პრეზიდიუმის სხვა წევრების არჩევა შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

მეორე სხდომა მოხდა 29 მარტს. განაწილებულ იქმნა მუშაობა სხვადასხვა რაიონებში. პირველი რაიონი მიენდო ნოე რამიშვილს და მასთან ერთათ ს. ქავთარაძეს და ა. ლომთათიძეს; მეორე რაიონი — ჰ. აზატიანს და მ. ტოროშელიძეს; მესამე რაიონი ნაზარეტიანს და ან. სალუქვაძეს. მეოთხე — ნ. ხომერიკს.

კომიტეტმა აღარ იდვა თავს პარტიული პროგრამის დაბეჭდვა, რადგან საოლქო კომიტეტი უკვე შეუდგომია მის ბეჭდვას სამ ენაზე. დროს გამოშვებით ფურცლების და მოწოდებების გამოსაცემათ კომიტეტმა აირჩია სარედაქციო კომისია სამი პირისაგან (ქავთარაძე, ხომერიკი და აზატიანი).

არჩეულ იქმნენ პრეზიდიუმის წევრები: თავმჯდომარეთ ნ. ხომერიკი, თავმჯდომარის ამხანაგათ ჰ. აზატიანი, ხაზინადრათ ი. გიორგობიანი.

გადაწყდა, რომ საჭიროა მოეწყოს საქალაქო და საერობო თვითმართველობანი საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით განურჩევლათ სქესისა. კომიტეტი მიმართავს ამ საქმის შესახებ შესაფერი წინადადებით მუშათა და ჯარისკაცთა ადგილობრივ საბჭოებს, ქალაქის და ამიერ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტებს.

პარტიის შენება აწინდელი ლეგალური პირობების შესაფერათ ახლა იწყება. სრული იმედია, რომ პარტიის ყოველი წევრი თავის სამღრთო მოვალეობათ ჩასთვლის მთელი ძალღონით დაეხმაროს კომიტეტს ამ დიად საქმის განხორციელებაში.

# მუშათა ცხოვრება.

**მოსამსახურე ფარმაცევტთა ცხოვრებიდან.** 22 მარტს თფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ფარმაცევტთა კრება, სადაც უნდა არჩეულიყო მუშათა დეპუტატების საბჭოს დელეგატები და დროებითი კომისია პროფესიონალურ ორგანიზაციის წესდების შესამუშავებლათ. კრება გაიხსნა მიხეილის თავმჯდომარეობით და დაესწრო 130 კაცამდე. საბჭოში არჩეულ იქნა ჯუღელი და კაპელიოვიჩი. გადაწყდა კომისიაში არჩეულიყო 17 კაცი. ორივე არჩევნები მოხდა ისე, რომ [illegible] ვერა იცნობდა. არავითარი სისტემა კანდიდატების წამოყენებისა არ იყო. სომხების ერთი ჯგუფი ცალკე აყენებდა, ებრაელების ცალკე და ასე დაუსრულებლივ ვისაც როგორ უნდოდა. ბენედიქტე დგებუაძემ, რომ საქმე არ გართულებულიყო, სცადა სხვებთან ერთად შეთანხმებით წამოეყენებია საერთო სია, მაგრამ ამდენ დრიანცელში აღარაფერი გაიგებოდა რა. როცა კომისიაში ასარჩევთ კენჭს უყრიდნენ თითეულს ცალკე, კრების ნახევარი უკვე შინ წასული იყო. კრებაზე არ იყო არჩევის წესი დაცული, ვინ ვის აყენებდა არავინ იცოდა. ერთი ჯურის ხალხი აყენებდა კანდიდატებს და 30 ხმაც რომ მიეღო ტაშს უკრავდნენ, გასულიათ. წამოაყენეს წინადადება, რომ კრება და არჩევნები უკანონოა და გადაიდოს. ერთი ჯურის ხალხმა, რომელთაგან წახდენა თუ თორემ გაკეთება არავის უნახავს, ამას დემაგოგობა უწოდა. ს. ჯუღელმა, ჩაიგდო რა ფაქტიურათ თავმჯდომარეობა ხელში, სარგებლობდა ამით და სულ კრების განონიერებას გაჰყვიროდა. ლაპარაკი აღარავის დააცადეს. გაყავდათ სრულიად უღირსი პირები. წამოაყენეს მატარაძის კანდიდატურა. ვინც კი იცნობდა მატარაძის პიროვნებას და მუშათა კლასის და მისი იდეის რამე გაეგებოდა, ის მატარაძეს ხმას ვერ მისცემდა. არ მიუცია ხმა არც ერთ ს.-დ. ფარმაცევტებს, არ მისცეს ხმა, თითო ოროლა შეგნებულმა ფედერალისტებმაც და სხვებმაც, მიუხედავათ ამისა, მატარაძის ჯურის კომპანიამ დაჰკრა ტაში და ყალბი ოვაციით გაყვანილად გამოაცხადა. როცა ხმებს ითვლიდენ გამოაცხადეს, მატარაძე ერთხმად იქმნა არჩეულიო. ამასვე იცავდა თავმჯდომარე და მისი ამხანაგი ჯუღელიც. ამის გამო ს. დემოკრატებმა პროტესტი განაცხადეს. ყველაზე ადრე პროტესტით გამოვიდა ბ. დგებუაძე და არჩევნები უკანონოთ გამოაცხადა. მატარაძის მომხრეებმა ამ განცხადებას პროტესტით შეხვდენ. თავმჯდომარის ამხანაგი ს. ჯუღელი ზნეობის კანონს აბიჯებს და გაჰყვირის თქვენ ყველანი **მხეცები ხართო**, კრებას რევთო და სხვა ასეთი მარგალიტები. ა. ქვათაძემ ჯუღელის მიერ წამოსროლილ ლანძღვაში დაინახა შეურაცხყოფა უმთავრესათ მათი, ვინც მატარაძის კომპანიას წინ აღუდგა და მაშასადამე არც შეეძლოთ, რომ კრების ჩაშლა არ მოეთხოვნათ, ამიტომ ჯუღელის ლანძღვას პროტესტით შეხვდა. ჯუღელი გადახტა თავმჯდომარის ადგილიდან და სკამების მტვრევით გაქანდა ქვათაძის გასალახავათ. გამხეცებული ს. ჯუღელი ძლივს დაიკავეს. აქ გათავდა 22 მარტის ფარმაცევტების კრება. დასასრულ ბ. დგებუაძემ, მიუხედავათ მატარაძის კომპანიის დემაგოგობა მუქარისა, მაინც აშკარა პროტესტი განაცხადა კრების სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით უკანონო კრებისა და არჩევნების წინააღმდეგ. დასასრულ ვეკითხები ყველა ფარმაცევტებს და თვით ჯუღელსაც, აქვს თუ არა მას ზნეობრივი უფლება წავიდეს ის დეპუტატათ საბჭოში იმ ამომრჩეველთა სახელით, ვისაც ის უწოდებს მხეცებს და ვისზედაც მუშტით იწევს საცემრად?!

**დამსწრე.**

**ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშების კრება.** 17 მარტს მოხდა ქუთაისის სტამბებში მომუშავეებისა და წიგნების მკაზმავ მუშების კრება, კრებას დაესწრო 102 კაცი, კრებამ თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩია ტრ. სალაია, მდივნათ ჰ. ვაჭრიძე. თავმჯდომარე მიესალმება ამხანაგებს, მოკლეთ განმარტავს ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშების მდგომარეობას, აღნიშნავს ზოგიერთ მუშის უპრინციპო მოქმედებას დღემდის და მოუწოდებს ამხანაგებს მომავალში შეგნებულათ შეხვდენ ცხოვრებას და ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწიონ წინ უკეთეს მომავლისაკენ. შემდეგ მოუწოდებს ამხანაგებს დღის წესრიგის შესამუშავებლათ, დასმულია ექვსი კითხვა 1) დამატებითი დეპუტატების არჩევა მუშათა საბჭოში; 2) პროფესიონალური კავშირის დაარსება; 3) პროფესიონალური დროშა; 4) სახსარი; 5) ჯამაგირების საკითხი; 6) შეგირდების მდგომარეობა.

მუშათა საბჭოში დეპუტატათ კრება ერთხმათ ირჩევს ტრ. სალაიას, ჰ. ვაჭრიძეს და არსენ ტურაბელიძეს. კამათს იწვევს მეორე კითხვა: პროფესიონალური კავშირის დაარსების შესახებ. კრების აზრით საჭიროა ქ-ში დაარსდეს ყველა პროფესიაში კავშირები, ხოლო რადგან ქუთაისში თითქმის ყველა პროფესიაში მცირე რიცხვია და ცალკ ცალკე მუშაობა ვერ იქნება იმდენათ ნაყოფიერი, ამიტომ კრება სურვილს გამოსთქვამს შესდგეს ყველა პროფესიების წარმომადგენლების კავშირი, რომელიც უხელმძღვანელებს ყველა დარგის პროფესიებს ერთად, ხოლო პროფესიონალურ კითხვას აწესრიგებს თავიანთი კავშირი დამოუკიდებლათ. მანამ კი სანამ ამ ერთი კავშირთა კავშირი შესდგებოდეს, კრება ირჩევს პროფესიონალურ ბიუროს, რომელსაც ავალებს ყოველგვარ პროფესიონალური კითხვების მოწესრიგებას. აირჩიეს: ჰ. ვაჭრიძეს, ჰ. ბოხუა, ტრ. სალაია, პ. მიქაძე, გ. ვასილიევი, ი. გარსოევი, არ. ტურაბელიძე, ე. მაგინეიშვილი, კ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, კ. მალანია. კანდიდატებათ: პ. ბურჯანაძე, რ. ვაჭრიძე, ე. თევზაძე. მესამე კითხვა, პროფესიონალური დროშის შესახებ კრება ერთხმათ ადგენს: გააკეთოს დროშა; მეოთხე კითხვა კასის შესახებ კრება ადგენს: რადგან საერთო ნორმა გადასახადის არ არის გამომუშავებული, სანამ ეს გამომუშავდებოდეს კავშირთა-კავშირისაგან, მანამ გადავიხადოთ ერთდროულათ რამდენიც მოსახერხებელი იქნება თითეული მუშისაგან წვრილმანი ხარჯების მოსაწესრიგებლათ. მეხუთე კითხვა ჯამაგირების მომატების შესახებ, კრება ერთხმათ აღიარებს უკიდურეს მდგომარეობას მუშებისას და ჯამაგირების გადიდების აუცილებლობას, მაგრამ იღებს კრება მხედველობაში თანამედროვე მომენტს და რომ დაწყებულ რევოლიუციას ხელი არ შეეშალოს, საერთო გაფიცვას არ ახდენს, ხოლო მართავს დამქირავებელთან მოლაპარაკებას ჯამაგირების შესახებ და თუ ხაზეინები სამართლიან მოთხოვნას არ მიიღებს, იმ შემთხვევაში ბიურო ეხმარება, უკიდურეს შემთხვევაში მიმართონ მუშათა საბჭოს და დროებით აღმ. კომიტეტს. მეექვსე საკითხი, შეგირდების შესახებ კრება ადგენს არჩეულმა ბიურომ გაარჩიოს ეს კითხვა და მიიღოს ზომები შეგირდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

დასასრულ კრებამ დაადგინა გაეგზავნოს დეპეშა პეტროგრადში მუშათა საბჭოს და მის თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს, აკაკი ჩხენკელს მის კომისრად დანიშვნის შესახებ როგორც წარმომადგენელს ინტერნაციონალური პროლეტარიატისას და თფილისში მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. პ. მიქაძე ამბობს: ამხანაგებო, გაუგზავნოთ დეპეშა სილიბისტრო ჯიბლაძეს და მისი ჭაღარაც გავახაროთ, კრება ტაშით შეხვდება და [illegible] წინადადებას. დასასრულ კრება იხურება.

**მაიდნელი.**

# რევოლიუცია პროვინციაში.

**ს. ძიმითი** (გურია). 16 მარტს მოხდა ს. ძიმითში მიტინგი ამხ. გრიგოლ ჟუჟუნავას თავმჯდომარეობით; დაესწრო დიდძალი ხალხი, ტრიბუნაზე იდგა ნოე ჟორდანიას დიდი სურათი, იქვე ფრიალებდა რამოდენიმე წითელი დროშა. ილაპარაკეს ორატორებმა, რომლებმაც გააშუქეს თანამედროვე დიადი მომენტის მნიშვნელობა, მოუწოდეს ხალხს წესიერების დაცვა და ახალი მთავრობის მხარის დაჭერა. ხალხი ორატორების სიტყვებს აღტაცებული ტაშისცემით ეგებებოდა. გადახდილ იქნა პანაშვიდი რევოლიუციის მსხვერპლის აღსანიშნავათ. შემდეგ დაავალეს თავ. გ. ჟუჟუნავას მიტინგის სახელით გაუგზავნოს მისალმების დეპეშა კ. ჩხეიძეს და როძიანკოს პეტროგრადში. მხოლოდ სამწუხარო სურათი წარმოგვიდგა, როცა აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებზე მიდგა საქმე. ტელეგრამის გასაგზავნათ შეიკრიბა 35 მ. 30 კ., რაც ხარჯებს გადარჩა, გადაეცემა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

**დამსწრე.**

**ს. ძმუილთა** (გორის მაზრა ჯავის საზოგ.). ამ ბოლო დროს ჩვენც გავიგეთ დიდად სასიხარულო ამბავი. დღემდის სიმართლის და პატიოსან სიტყვის მთქმელებს ატუსაღებდენ, ახრჩობდენ, ციმბირში გზავნიდენ. რაც აქამდის სიმწარე ვნახეთ იმას ვივიწყებთ. აქამდის არ ვიყავით ძველ მთავრობის შიშით მოსვენებულნი. ერთი დრო არავის შერჩებოდა სწორეთ იმათზედ ნათქვამი, ჩვენი საკუთარი შრომის ნაყოფი [illegible]. რაც დათესეს ის მოიმკეს. ჩვენმა ძველმა გადაყენებულმა მოხელეებმა, ჩაფრებმა და მამასახლისმა ჩამოყარეს ყურები. გადავურჩით იმათ ლანძღვა გინებას და ათასნაირ შეურაცხყოფას. როგორც კი ჩვენამდის მოაღწია თავისუფლების ამბავმა — მაშინვე გლეხები დაეცენ მამასახლისს და წაართვეს იმას, რაც ქონდა წართმეული მას ქრთამებით გლეხებისაგან. დ. ცხინვალში გადააყენეს ძველი მთავრობა, შემდეგ 19 მარტს ს. ჯავაში, მათ ადგილზე დააყენეს სანდო პირები. იმედი გვაქვს ეხლა მაინც მოგვხედავენ ესენი და დაამყარებენ ჩვენში სამართალს და პატიოსნებას. აქამდის ჩვენი სასამართლო იმყოფებოდა ს. ჯავაში, თითქმის 20 ვერსის მანძილზე და ამ მანძილზე გვიხდებოდა სიარული, ხარჯი და დროის კარგვა. ჩვენი ახალი მთავრობა სცდილობს ჩვენთვის სასამართლო გახსნას ჩვენშივე, რაც დიდი სასიამოვნო იქნება. ჩვენი გლეხები მზად არიან სხვა გლეხებთან ერთად ებრძოლონ ყოველ უსამართლობას. დიდად გახარებული და დიდი იმედები ჩაგვესახა გულში.

**ნიონ.**

**სოფ. რუისი.** 26 მარტს მოხდა ოცისთავების კრება ოთხი სოფლისა, რუისისა, ბებნისისა, ურბნისისა და სასირეთისა, დაესწრო სულ 40 კაცამდე. აირჩიეს კომიტეტი 13 კაცისაგან, არჩევნებს დაესწრო თფილისის მუშათა საბჭოს დავალებით ი. მამაცაშვილი, რომელმაც განუმარტა მდგომარეობა დღევანდელი მომენტისა და მოუწოდა, რომ ამ საქმისთვის სათავეში აერჩიათ მთელი საზოგადოების ნდობით აღჭურვილი და პატიოსანი კაცები. როგორც გამოჰკვლია მამაცაშვილის შეკითხვამ, თუ როგორ მოხდა ოცისთავების არჩევნები, გამოირკვა, რომ არჩევნებში დეფექტები არის დაშვებული, მაგრამ ამის მიუხედავათ სათავეში მაინც მოყოლიან საუკეთესო ადამიანები და ამისათვის ერთხმათ დაადგინა დარჩეს ეს შემადგენლობა. კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია იმან თუ როგორ ზომებს მიმართონ ნაძირალების ასალაგმავათ და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ყველას აპატიონ წარსული ძველი დანაშაულებანი, მაგრამ მიეცეთ წინადადება კომიტეტის სახელით, რომ შემდეგში აღარ ჩაიდინონ დანაშაულებანი და თუ მაინც კიდევ ბედავენ და ხელს შეუშლიან ახალ მთავრობას მუშაობაში, პირველათ დაისაჯონ სასტიკათ, ხოლო თუ მეორეთაც განიმეორა დანაშაული და ისიც მძიმე, როგორიცაა დაცემა, დაწვა, გზაში დახვედრა, ცემა და სხვა, კომიტეტი იტოვებს უფლებას საზოგადოებასთან ერთად, სრულიად სოფლიდგან გაძევებისას. კრებამ გამოსთქვა უკმაყოფილება გორის კომიტეტის მიმართ, მათ სთქვეს: მიუხედავათ იმისა, რომ მამასახლის და მწერალს აღმოაჩნდათ ბევრი ბოროტ-მოქმედებები, ჩვენ მამასახლისი დავიჭირეთ, გავგზავნეთ დასამწყვდევათ გორის

ციხეში, იმან კი ისევ უკან დაგვიკრა თავი სოფელშიო, ამისათვის გამოითქვა იმედი, რომ შემდეგში აღარ განმეორდება ესეთი.

სურსათის შესახებ გამოითქვა აზრი, მიეცეთ წინადადება ვისაც ზედმეტი აქვს პური, სიმინდი, ქერი, ბზე, ჩალა და სხვა, მიყიდოს თავის მეზობლებს კომიტეტის მიერ შემუშავებულ ფასებში და თუ გადამალა, არ გამოაჩინა, შემდეგში ჩამოერთვათ რეკვიზიციის სახით. ნაწილი დაუბრუნდეს პატრონს ნაწილი დარჩეს კომიტეტს. სალდათები, რომლებიც არიან გამოპარულები და ან ქრთამებით დარჩენილები, მიეცეთ წინადადება წავიდნენ სამშობლოს და თავისუფლების დასაცავათ, ვინც არ შეასრულებს ზომები იქნას მიღებული. გადასწყვიტეს მოაწყონ უბნური კომისიები, ეს საჭიროა რადგანაც სოფელი დიდია და ამითი გაუადვილებენ კომიტეტს მუშაობას.

საჭიროთ დაინახეს მილიციის მოწყობა და შეიარაღება, ნაძირალების ასალაგმავათ, იარაღი კი გამოითხოვონ საიდგანაც ჯერ არს.

20 მარტს გ. მ—შვილის ბოსელს მოუკიდეს შუაღამისას ცეცხლი, შიგ ეძინა სამ სულ ადამიანს და ბლომათ იყო საქონელი, ცეცხლის ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა სოფელმა, ბოსელი გადაიწვა, ხალხი და პირუტყვი გადაარჩინეს, მცხოვრებლები ძალიან აღშფოთებულები არიან ნაძირალების მოქმედებით, რადგანაც მ—შვილი დიდ ენერგიას იჩენს ყოველივე კულტურულ საქმეში, როგორიც არის კოოპერატივი, სკოლა, ბიბლიოთეკა და სხვა. მაგრამ ესეთიც რომ არ იყვეს, ეს გზა მაინც დასაგმობია, მეტადრე ეხლა, როცა ყოველივე მართვა-გამგეობა ხალხის ხელშია. ყოველივე კერძო პირის ესეთი გამოსვლა ძირს უთხრის ახალ მთავრობას და ამ პირების წინაღმდეგ უნდა იყოს ხალხის მკაცრი და დაუნდობელი განაჩენი. თუ ვინმეს რამე დაეშავა, ჩვენ გვყავს ყოველ სოფელში კომიტეტები და იმათ უნდა დასდონ მსჯავრი.

რუისელი.

**თამაკონი.** (სენაკის მაზრა). 12 მარტს აქ მოხდა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. ხალხის აღფრთოვანებას და სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა; ყველას სახეზედ მხიარულობა და ღიმი უკრთის. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხანაგი ესტატე ოკუჯავა, რომელმაც მოუწოდა კრებას მათ მოესმინათ ორატორის სიტყვა. შემდეგ ორატორმა მიულოცა ხალხს თავისუფლება, განუმარტა ამ სიტყვის მნიშვნელობა, დაახასიათა დღევანდელი უდიდესი მომენტი, მოუწოდა წესიერებისაკენ და გააფრთხილა, რომ ქურდობა-ავაზაკობა და სხვა ასეთი ხელს შეუწყობს ბნელი ძალების ამოქმედებასო, დასასრულ ორატორმა განმარტა დღევანდელი კრების მიზანი. არჩეული იქნა ოცისთავები, აღმასრულებელი კომიტეტი და მამასახლის მაგივრათ ორი კომისარი, რომლებსაც ევალება პირნათლად შეასრულონ თავ თავიანთი მოვალეობა.

დეთიკო.

**დ. ქარაქლისი.** (ერევნ. გუბ.) ძველი, დახავსებული წესწყობილების მიერ გამოწვეულმა რევოლიუციონურმა ტალღამ ჩვენამდინაც მოაღწია. 7 მარტს ადგილობრივმა გარნიზონმა მოახდინა დემონსტრაცია, რასაც სამწუხაროთ, სათანადო ყურადღებით ვერ მოეპყრო ადგილობრივი მცხოვრებლები. არჩეულ იქმნა გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტი სალდათებისაგან. კომიტეტმა თავისი წარმომადგენლები მოსთხოვა აფიცრებს. აფიცრებისაგან არჩეულ იქმნა ორი დელეგატი: პრაპორშჩიკი ვ. ადამოვიჩი და პრაპ. კ. იმნაძე, რომელთაც დაავალა ჯარმა ჩამოერთმიათ იარაღი ოთხ აფიცერთათვის (პოდპოლკოვნ. კრესტოვსკისთვის, კაპიტ. მირზოვისთვის, პრაპ. ორტენბურგის და ვასილიუკისთვის) და დაეპატიმრებიათ ისინი, რაც იქვე (კრებაზე) მოყვანილ იქმნა სისრულეში. დემონსტრაციამ მწყობრათ ჩაიარა. ილაპარაკა სხვადასხვა ორატორებმა. ჯარი საღამოს 4 საათზე დაიშალა. იმავე დღეს მოხდა კრება აღმასრულებელ კომიტეტის, რომელმაც ამოარჩია ოთხი დელეგატი (პრაპორ. კ. იმნაძე, სალდათები: კოპინაშვილი, ეფრემოვი და რიადნოვი) თფილისში გასაგზავნათ. ამათ დაევალათ გაეცნოთ თფილისის აღმასრულებელ ბიუროს და თფილისის გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტს. შესდგა ბიურო აღმასრულებელ კომიტეტის. ბიუროში შედიან დელეგატები გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტის, ადგილობრივი მცხოვრებლების, ახლო მახლო სოფლების (თითო დელეგატს დაეთმო ადგილი მალაკნებიდან, თათრებიდან და ქურთებიდან, რომ ნაციონალური ელფერი არ დაედოთ ბიუროს), და მუშათა საბჭოს.

ბიურო შეუდგა საზოგადოებრივი საქმეების მოგვარებას.

19 მარტს შეფიცა ახალ მთავრობას ადგილობრივმა გარნიზონმა. სამხედრო სანახაობას წარმოადგენდა რკინის გზის პარკისაკენ დასაფიცებლათ გამართული ჯარი. მას ამშვენებდა რევოლიუციონური დროშები სხვადასხვა წარწერებით და შეთანხმების სახელმწიფოების ნაციონალური დროშები. მუსიკა უკრავდა მარსელიოზას. შუა ქალაქში ჯარს „ურას“ ძახილით შეეგება დროშებით ხალხი და მოწაფეთა ახალგაზრდობა. შეერთებული ხალხი და ჯარი გაემართა დანიშნულ ადგილას. ფიცის მიღებამდის მგრძნობიარე სიტყვები იქნა წარმოთქმული სხვადასხვა ორატორებისაგან ქართულად, რუსულად და სომხურად, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა სომხის ქალის კარაპეტიანცის მხურვალე, გრძნობით სავსე სიტყვამ. იქვე გადაწყდა გაეგზავნოს მისალოცი დეპეშები: სახელმწიფო დუმას, აღმასრულებელ კომიტეტს, პეტროგრადის მოსკოვის და ადგილობრივ გაზეთებს.

დაიწყო ფიცი, რის შემდეგ გარნიზონის უფროსმა პოლკოვნიკმა მელიამ განუმარტა ჯარს, ამიერიდან თუ რა მოვალეობა აწევს მას კისერზე, მან სთქვა: გერმანიის გამარჯვება აღადგენს ძველს წყობილებას, ძველ რეჟიმს, რომლის დამხობას არა ერთი ორი წელი ელტვოდა რუსეთის ხალხი. განახლებული, თავისუფალი რუსეთი თქვენგან მოითხოვს, როგორც შინაურ მტერთან ბრძოლას აგრეთვე გარედან შემოსეულთანაც. ჯარი და ხალხი წესრიგით დაიშალა 3 საათზე.

ამავე დღეს ჯარის სადგომში გამართეს საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდო პეტროგრადში რევოლიუციის მსხვერპლის ოჯახთა სასარგებლოთ. საღამო მრავალფეროვანი იყო და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე. დიდძალი ხალხი დაესწრო, ბევრი უბილეთობის გამო დაბრუნდა სახლში. შემოვიდა 1244 მ. 75 კ. წმინდა შემოსავალი დაახლოვებით ათას მანეთამდეა.

სირიუსი.

**ქუთაისი.** 25 მარტს მშვენიერი სანახავია ქუთაისი, ამ დღეს მუშათა საბჭოსა და სალდათთა საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა შეგროვდეს ფული ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა სააღდგომო საჩუქრებისათვის. დილიდან ქუჩაზე ვხედავთ სალდათებსა და მუშებს, სალდათებსა და ქალებს ხელში ყულაბებით და პატარა ქაღალდებით, რომელსაც გულზე აბნევენ გამვლელ-გამომვლელთ. ადამიანი აღტაცებაში მოდიხარ, როდესაც ხედავთ, რომ გუშინ ორი მოპირდაპირე მუშა და სალდათი დღეს ხელი ხელ ჩაკიდებული ერთი მიზნისაკენ მიილტვიან. აღტაცებაში მოდიხარ, როდესაც ხედავ, რომ გუშინ ქალი რომელიც, როდესაც მას მთვრალ სალდათს დაინახავდა ქუჩაში გვერდს აუვლიდა შეურაცხყოფა არ მომაყენოსო, და შეიძლება სალდათიც ასეთი თვალით უყურებდა მას, დღეს ეს ორი მეგობარი ქუჩაში ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად დადიან ერთი საქმისთვის, რომ ფრონტზე მყოფ რევოლიუციონურ ჯარს ხელი გაუწოდონ და სააღდგომო საჩუქარი გაუგზავნონ. ხალხიც თანაგრძნობით ხვდება ყოველივე ამას და რამოდენიმეჯერ აგდებენ ყულაბებში თავიანთ წვლილს. დღის 12 საათზე გამოდიან ცირკის არტისტები როგორც ქალები ისე მამაკაცები ყულაბებით ხელში და ფულს აგროვებენ ამავე მიზნისათვის. ქუჩაში დადის სამხედრო ავტომობილები, რომელშიაც ვხედავთ მუშებს, სალდათებს, ქალებს და აგრეთვე აფიცრებს ყულაბებით ხელში და ფულს აგროვებენ. აგერ მოდის კიდევ ავტომობილი, წითელი სარევოლიუციო დროშებით, რომელზედაც არის 1905 წლის პატარა დროშა აფრიალებული და რომლის შეხედვაზე გაგონდება 1905 წლის ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალე დღეები და სიხარულს საზღვარი არა აქვს. ავტომობილს უკან მოჰყვება სამხედრო მუსიკა დროშებით და მარსელიოზით. საუცხოვო სანახავია საღამოს 6 საათზე ქუთაისი. გამოჩნდება ავტომობილი წითელი დროშით, ავტომობილი მიდის ნელი ნაბიჯით, იგი ხალხით გარშემორტყმულია, ისმის „ბრავო“ და ცხარე ტაში, ავტომობილზე ვხედავთ ხიშტიან სალდათს, მის გვერდში მუშას მთელი მისი გამომეტყველებით, მუშას მკლავები დაკოტავებული აქვს, დაკოჟრილ ხელში დიდი ჩაქუჩი უჭირავს და მხარზე გადაუდვია, შუაში სდგას წითლად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი. პირველი ნიშნავს მუშისა და სალდათის დამეგობრებას, ხოლო უკანასკნელი წითლათ გამოწყობილი ქალი რევოლიუციას. მუშას მეორე ხელში დროშა უჭირავს, აგრეთვე სალდათსაც, სალდათსა და მუშის შუა მდგომ წითლათ გამოწყობილ ქალს ორ ახლათ დამეგობრებულთათვის მხარზე ხელი დაუდვია. აშკარაა ასეთი სურათი ხალხში აღფრთოვანებას გამოიწვევდა და ასეც მოხდა.

საღამოს 7 საათზე სომხების სასწავლებელში დანიშნულია ქუთაისის ინტელიგენტების, პროპაგანდისტებისა და ლიტერატორების კრება. კრებაზე ესწრება 60 ინტელიგენტი, ესწრებიან აგრეთვე მუშათა საბჭოს დეპუტატი მუშები, თავმჯდომარეთ ირჩევენ ევ. გეგეჭკორს. პირველათ მოხსენებას აკეთებს კომისია. დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: 1) სოფლათ მომუშავე ორატორთა ჯგუფი; 2) ლექტორთა ჯგუფი ქალაქში; 3) გაზეთის თანამშრომელთა ჯგუფი; 4) მოწაფეთა შორის; 5) ბიბლიოთეკის დაარსება; 6) მომავალ მასწავლებელთა სიეზთან დამოკიდებულება; 7) პრეზიდიუმის არჩევა. კრებამ ყველა კითხვაზე შესაფერისი დადგენილებები გამოიტანა, მან შეადგინა სოფლათ მომუშავეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან შემდეგი ორატორები: შ. სირაძე, გ. დოლიძე, ვ. მეძმარიაშვილი, ი. კაკაბაძე, ქავთარაძე, ი. ბახტაძე, კუპრაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ბერძული, ი. მაჭავარიანი, კობახიძე, ზ. უზნაძე, ი. გოგოლაშვილი, პ. შოდუბაძე, კილაძე, ტრ. სალაია, ნ. ჩხიკვაძე, ვ. კალანდარიშვილი, ვ. შარაშიძე, ა. ხვანიძე, ალ. შარაშიძე, კ. მოდებაძე, კ. მოსეშვილი, გვარჯალაძე და პაპუნავა.

ლექტორთა სიაში: გელაზაროვი, ალავერდოვი, კალინინი, ტიმაევი, მგელაძე, ტერენტიევისა, სვანიძე, ტიხარენკო, ქუთათელაძე, გრიგოლია, მალაიანი, მაჭავარიანი, პაპუსოვი, სოკოლოვსკი, თოფურიძე, ალ. შარაშიძე, რაზმაძე. იმნაიშვილი, ნეემბურგი, მირაქოვი, მოდებაძე, ჯ. მეძმარიაშვილი.

გაზეთის თანამშრომლებათ: კაკაბაძე, კალინინი, ტიმაევი, მგელაძე, ფანცხავა, გრიგოლია, ბერძული, კაკალეიშვილი, ქავთარაძე, ქუთათელაძე, ალ. შარაშიძე, მოდებაძე, ლიზა მეძმარიაშვილი, ცაცა დარახველიძე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ პირთ დიდი მოვალეობა აწევთ. მაგ. სოფელში მომუშავეთა რიცხვი დღეს ძლიერ ცოტაა, ქუთაისის მუშათა საბჭოში დღითი დღე მრავალი სოფლელი მოწინავე პირები მოდიან და თხოულობენ ორატორებს, პირველი ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს, ასევეა ქალაქიც, მუშები გონებრივ საზრდოს მოითხოვენ, მუშა ორატორების მომზადებაა საჭირო, ამიტომ ეხლავე უნდა შესდგეს მოწინავე წრეები, 60 ინტელიგენტს ქუთ. გუბერნიაში ბევრის გაკეთება შეუძლია. მეტი მუშაობა, მეტი პროპაგანდა-აგიტაცია, მეტი საქმიანობა ჯარში, აი საით უნდა იყოს მიქცეული მთელი ყურადღება.

მაიდნელი.

## გაზეთის სასარგებლოთ.

**სადგ. ჯულფა.** გიგზავნით ამხანაგებს შორის შეგროვებულ 56 მ. 50 კ. აქედან 25 მ. მოხმარდეს პეტროგრადში რევოლიუციის დროს დახოცილ ამხანაგების ძეგლის აგებას. დანარჩენ 31 მ. 50 კ. გიგზავნით გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც მუდმივი დარაჯი არის და იქნება ჩაგრულთათვის. სამ სამი მანეთი: ვიკტორ კ. ჯვარიშეიშვილი, სამსონ ქადეიშვილი, ალექსანდრე ელიაშვილი; ორ ორი მანეთი: თეოფილე ნიქაბაძე, სილვესტრ კობახიძე, სამსონ ბერძენოვი, პარმენ ფოჩხიძე, კირილე მიქაძე: თითო მანეთი: ვასილ ს. ბარკალაია, არკადი ოდიშარია, კოლია ხვედელიძე, ილიკო გველესიანი, დავით დაველიანიძე, ვისარიონ ჯაკობია, გიორგი კანდელაკი, Ковалевъ, Поліенко, კოსტა სიმონია, ირაკლი შავიძე, ექვთიმე ჩხაიძე, ერისტო ბრეგვაძე, სოლომონ ჩოდილელი, ანტონ სანაკაშვილი, ანტონ გიორგაძე, ლადო მაჭავარიანი, პავლე ტყეშელაშვილი, აფრასიონ სამხარაძე, А. К—да, კოლია ბარბაქაძე, გიორგი მგალობლიშვილი, პორფირე კუპრავა, ანდრო რუხაძე, ვლადიმერ იობიძე, მიხეილ სტურუა, ალექსანდრე ინასარიძე, ერმილე თოდრია; ათ-ათი შაური: სერგო პატარიძე, არუთინ სიმონიანცი, კოსტა მაღრაძე, კოსტა ქავთარაძე, კოსტა ცხადაძე, გიორგი მაჭავარიანი, მინა კაპანაძე, ასტვაცატუროვი, ნიკო თოფურია, ბარბაქაძე, ერმილე ჩხაიძე, ნესტორ მდივანი, იოსებ მინდიაშვილი, პეტრე დვალიძე, გაბო ბალანჩივაძე, შარმანდი დოლიძე, ვლადიმერ ჩაჩავა, Алексѣй Сухановъ, Мамедъ Гусеинъ.

ამხანაგების მინდობილობით კავკ. ჯარისკაცი კ. ჯვარიშეიშვილი და ანდრო რუხაძე.

—

გავითვალისწინეთ რა მე და ჩემმა ამხანაგმა დღევანდელი პირობები ცხოვრებისა და ვცანით ჩვენთვის საუკეთესო მოვალეობათ, აღდგომის აღნიშვნა ჩვეულებრივი სუფრის გაწყობის მაგიერ გაუწეროთ ჯარისკაცთ ჩვენი ინტერესის საუკეთესო დამცველი გაზეთი „ერთობა“ სამი თვით თითომ. ამასთანავე გახლებთ სამ მანეთს პოლიტიკურ გადასახლებულთა დამხმარე ფონდის მისამატებლათ. გიგზავნით სულ 11 მ. 40 კ.

პატივისცემით ვარვარა და მამანტი ცომაია.

—

**მოსკოვი.** გაზეთის ფონდის სასარგებლოთ გიგზავნით 15 მ. შემომწირველთა სია. ხუთ-ხუთი მანეთი: ნესტორ რთველაძე, თეოფილე გაბიჩვაძე; სერაპიონ იოვიძე 2 მ.; თითო მანეთი: არჩილ ბედელაძე, სარდიონ კერვალიშვილი, ვლადიმერ ბედელაძე. სულ 15 მ.

მინდობილობით სერაპიონ იოვიძე.

--

გრ. გოძიევისაგან 1 მ.

დიმიტრი გაბიჩვაძემ გაუწერა 3 თვით ჩვენი გაზეთი ჯარისკაცებს.

—

**ბათუმი.** გახლებთ 115 მანეთს, რომელიც გადასდო ბათუმის მომხმარებელ საზოგადოების „კავშირის“ საზოგადო კრებამ გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის 100 მან. და 15 მ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ.

გამგეობის თავმჯდომარე ვ. კვერგელიძე.

—

**გაზეთის გაწერა.** პრაპორშჩიკმა ისიდორე ხურციძემ წლის ბოლომდე ჩვენი გაზეთი გაუწერა ქართველ პოლკის მეექვსე როტის ჯარისკაცებს.

გახლებთ 3 მანეთს და გთხოვთ გაზეთი გაუწეროთ ერთ-ერთ ფრონტზე ჯარისკაცს ჩემის ახლად გარდაცვალებულის სიდედრის ასპირო კვირკველიას ასულის ჯახუტაიშვილის ხსოვნის პატივსაცემლათ.

ჯარისკაცი ნიკიფორე ჩხარტიშვილი.

—

ილია ორაგველიძისაგან ფონდისთვის 20 კ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

### პასუხი მღვდელს ალექსი ეპიტაშვილს.

პირველ ყოვლისა მე უნდა გამოვსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ გაზეთმა „საქართველომ“ მაიძულა ჩემი ეს პასუხი გამეცა მღვდ. ეპიტაშვილისათვის, რომელთანაც გამოკამათება ყველა ცოტაოთ თუ ბევრათ რიგიანი ადამიანისათვის უხერხულათ უნდა ჩაითვალოს. ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა ვუპასუხო, რომ ზოგიერთებმა არ იფიქრონ, თითქოს გაურბოდე სიმართლეს, ან თვით მღვდ. ეპიტაშვილმა თავისებურათ თამამი სიამაყით არ მოსდოს ქვეყანას—გავამტყუნე და პასუხი ვერ გამცაო.

გაზეთი „საქართველოც“ გაიგებს თუ რა ელემენტები იყრიან მის გარშემო თავს და ვისგან იღებენ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას. ეცოდნეს ზემო-აღნიშნულმა გაზეთმა აგრეთვე ისიც, რომ ეს ის ეპიტაშვილია, რომელიც მარტყოფის გლეხკაცობამ განდევნა ყველა კულტურულ დაწესებულებიდან და რომელმაც უკვე არსებული კოოპერატივის სამეტოქოთ გახსნა სავაჭრო კოოპერატივის ფირმით, სადაც შემოიკრიბა ყველა ადგილობრივი შავრაზმული და უვიცი ძალები. აი ამისთანა უკაცრავათ პ. სუხია კოოპერატივმა შესწირა გაზ. „საქართველოს“ 50 მან.

მღვდ. ეპიტაშვილი გაზ. „საქართველოს“ 19 მარტის ნომერში მთხოვს იმის დამტკიცებას თუ რა უფლება მქონდა მე სახალხო ყრილობაზედ მეწოდებინა მისთვის ჟანდარმერიის აგენტი, მარტყოფელი გლეხთა სისხლის მწოველი და სხვა.

მღვდ. ეპიტაშვილის სითამამე იქამდის მიდის, რომ არამც თუ თავს იმართლებს ბრალდებებიდან, დიდ რევოლიუციონერათ და ძველ წყობილებასთან მებრძოლათაც კი მოაქვს თავი. იმას ჰგონია საკმარისია ძველი მთავრობის მიერ რომელიმე დევნილს და ისიც თავის ნათესავს ორიოდე დღით თავი შეაფარებინოს, რომ მან დიდი მებრძოლის სახელი დაიმსახუროს. იგი იძულებული იყო მაინ ასე მოქცეულიყო, თორემ ვინ ალექსი მღვდ და ვინ რევოლიუციონერებისადმი თანაგრძნობა და დახმარება.

როგორი დამტკიცება ნებავს ხუცესს? ნუ თუ ის გარემოება, რომ სამი ათასისაგან შემდგარ ყრილობამ ერთხმათ დაადასტურა ყველა ჩემ მიერ წამოყენებული ბრალდებანი, საკმარისათ არ მოწმობს მის დამოკიდებულებას ძველ ვერაგულ მთავრობასთან? კარგათ ახსოვთ მარტყოფლებს ვისი წყალობით იყო გადასახლებული მარტყოფელი გლეხი, პეტრე კირეულიშვილი 5 წლით ადმინისტრატიული წესით. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩვენში პოლიტიკურ ნიადაგზედ კაცის დასჯისა.

როდესაც, ღირსეულო მოძღვარო, თქვენ რამდენიმე ბოროტ-მოქმედმა გაგკრიჭა, რაშიაც თუმცა ტლანქათ, მაგრამ მაინც ხალხის თქვენდამი სიძულვილი გამოხატა, თქვენ დამნაშავებს ვეღარ მიაგენით და გადაასახლეთ სრულიად უდანაშაულო პირებს მიხაკო ივანიშვილს, სამკუაშვილს და სხვებს—რომლებიც გადაასახლებინეთ ადმინისტრატიული წესით.

როდესაც სოფ. მარტყოფში იყო დანიშნული მთავრობის მამასახლისათ ვანო ჩერქეზიშვილი, ეპიტაშვილის თ რეშს საზღვარი არა ჰქონდა, ვისი ჯავრიც კი სჭირდა, ბოროტმა ადამიანმა სულ მაშინ ამოიყარა. მამასახლისს აცნობეს, რომ მარტყოფში არსებობს რევოლიუციონერთა ჯგუფი, რომელსაც გადაუწყვეტია თქვენი მოკვლაო. ამას შედეგათ მოჰყვა დაპატიმრება რამდენიმე მოწინავე გლეხისა, მე თვითონ შევებრძოლე მამასახლისის განზრახვას, ყველა ზომები მივიღე და ბოლოს ძლივს დავითანხმე, რომ ეს პირები გაენთავისუფლებინა ისიც ათასნაირი თავდებობით და ხელ წერილობით. თორემ ვინ იცის სად ამოყოფდნენ ისინი თავს. გავიდა რამდენიმე ხანი და ბ-მა ჩერქეზიშვილმა ცხადათ და საჯაროთ გამოსთქვა სინანული ამ ამბის გამო: რაზედ დავლუპავდი ამ უდანაშაულო პირებს მღვდ. ეპიტაშვილის დასმენითაო. აი ყველა ეს ფაქტები ჩემთან ერთათ აღიარებული იყო ერთხმათ მრავალ რიცხოვან ყრილობის მიერ, რასაც დაამოწმებენ აქ დამსწრენი თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელნი ე. დ—ია და ვლ. კ—ძე. ნუთუ ყველა ეს საკმარისი საბუთი არ არის ჩემ მიერ კრებაზედ ნათქვამის დასამტკიცებლათ. ან თუნდა ის შემთხვევა, რომ მღვდ. ალ. ეპიტაშვილმა ამ ორიოდე წლის წინათ ცენზორთან დაასმინა „თანამედროვე აზრის“ რედაქცია, რომ იგი არ უბეჭდავს მას დაუსრულებელ ლანძღვა-გინებით სავსე საპასუხო წერილს, არ მოწმობს მის ზნეობრივათ დაცემას, და ძველ ძალმომრეობაზედ და უსამართლობაზედ აშენებულ წესებისადმი ერთგულობას?

რაც შეეხება იმას, თუ რა საბუთი მქონდა როდესაც მას ვუწოდე ხალხის მყვლეფავი, მოკლედ მოვიყვან რამდენიმე ფაქტს, რომლებიც ამტკიცებენ მის ანგარებას. მღვდ. ეპიტაშვილმა მომხმ. საზ. „[illegible]“ ხაზინადრად ყოფნის დროს [illegible] ფული გასავალი ჩაწერა წიგნში, რაც აღმოაჩინა კოოპერატივის ინსტრუქტორმა და სარევიზიო კომისიამ. მან გამგეობის სხვა წევრებთან ერთად გაფლანგა ამავე საზოგადოების ქონება 700 მანეთისა. ეს ზარალი საზოგადო კრებამ მათვე დააკისრა გადასახდელათ, თუმცა აქამდის ჯერ ყურიც არ გაუბერტყიათ. როდესაც ეს ხუცესი ბრძანდებოდა საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრათ და ხაზინადრად, მოხდა ასეთი შემთხვევა: ერთ დღეს საცხენილ გლეხებმა მოითხოვეს საკრედიტო ამხანაგობიდან თავიანთი მობარებული ფული, რაზედაც მღვდ. ეპიტაშვილმა უარი განუცხადა, თუმცა კასაში საკმარისი ფული იყო, ბევრი ხვეწნის და მუდარის შემდეგ, მოსულმა გლეხებმა და გამგეობის მეორე წევრმა დაიყოლიეს და ფული მიაცემინეს, მიზეზი ასეთი მისი ახირებული საქციელისა მხოლოდ მეორე დღეს გამომჟღავნდა, თურმე მეორე დღეს იჯარით უნდა გაცემულიყო საბალახო მინდორი, ამის აღება ნებავდა მღვდ. ეპიტაშვილს და რაკი მიუხვდა, რომ საცხენილ გლეხებსაც იმ მიზნით უნდათ ფულის მიღებაო, შეეცადა თავიდან მოეშორებინა მეტოქეები, რომლებიც უეჭველად ვერას გახდებოდნენ.

საკრედიტო ამხანაგობის კასიდან მავნე მიითვისა 11 თუმანი. ეს ამბავი ასე მოხდა: 1915 წელს გიორგობისთვეში ანგარიშის წარმომებელის წიგნში შეცდომა შეეპარა ჯამის გამოყვანის დროს და კასა გამოუვიდა 110 მან. ნაკლებით, ვიდრე ნამდვილათ უნდა ყოფილიყო ნაღდათ კასაში. ამ შემთხვევით ისარგებლა ბ. ხაზინადარმა და ის ზედმეტი 110 მან. ჯიბეში ჩაიდო*) ეს ბოროტმოქმედება სრული ერთი წლის შემდეგ აღმოაჩინა წვრ. კრედიტის ინსპექტორმა, რაშიაც დარწმუნდა ამხანაგობის საბჭოც.

18 მარტს საკრ. ამხანაგობის საზოგადო წლიურმა კრებამ ერთხმათ დაადგინა ეს მითვისებული ფული გადახდევინოს მღვდ. ალექსი ეპიტაშვილს.

ბევრი რამის თქმა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამ დიდებულ ამბების დროს არ მინდა მკითხველის ყურადღება მოვაქციო, ან პატივცემულ გაზეთის წერილთა ადგილი ლაპარაკით იმ უმნიშვნელო პიროვნებაზე, როგორიც ბრძანდება მღვდ. ეპიტაშვილი.

ანტონ ბერიშვილი.

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ რომლებსაც კეთილი ინებებიათ და ს. ლიხაურის (გურია) ქ. შ. წ.-კ. გ. ს. უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის შემოუწირიათ, სამკითხველოს გახსნის დროს 1912 წელს, ვის წიგნები და ვის სხვადასხვა ავეჯეულობა. (ესენი შემთხვევით დარჩენილა გამოუცხადებელი). სია: ნოე კვირკველიძემ დასაკიდი „ლამპა“ ღირებული 15 მ., გიორგი გოგორიკიძემ „გრაფინკა“ ჭიქით და საინით, პავლე გორგალაძემ დასადგამი „ლამპა“, კოწია მ—ძე სალიქვაძემ სადამური გზის ფარანი, და საწყლე დოქი, ვანო და მიხაკო ცეცხლაძეებმა თითო ტაბურეტკა სკამი, ევგენი ურუშაძემ წიგნები ღირებული 5 მ., ფილიპე რუსიაშვილმა ქართული წიგნები ღირებული 15 მან.

გ—ხ მ—თ ხამკ—ს მაწ—ი ი. გ—ძე.

## ჩვენი ფოსტა.

**ბაქო.** გ. სიხარულიძეს. მათთან ამ საგანზე კამათი ზედმეტია.

**ტუაპსე.** თეოფილე გოგიბერიძეს. ის პირი უკვე გაანთავისუფლეს.

**კაჭკავი.** ა. ჩხუბიანს. წესდებები ჯერჯერობით არ გვიშოვია.

**ბარბუზეთი.** ეპ. თაბაგარს. გაზეთი ჩვენგან წესიერათ იგზავნება.

**სვირი.** აქსენტი ცინაძეს. გაზეთი 1 აპრილიდან გამოგეგზავნებათ.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

---

*) მღვდ. ეპიტაშვილი, გახლავთ ძმა თფ. სათავადაზნაურო გიმნაზიის გმირის დიმიტრი ეპიტაშვილისა. ა. ბ.

---

## მესაჭიროება მუშები

ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე მიწის სამუშევრათ. პირობები შემდეგია:

1) გამოცდილ მუშებს დღეში მიეცემათ 3—4 მანეთამდე.
2) შეუჩვეველს თვიურათ 35 მანეთი და სამი გირვანქა პური დღეში.
3) ყველას უსასყიდლოთ მიეცემა სამ საში გირვანქა შაქარი თვეში, ვისაც შაქარი არ უნდა სამაგიეროთ მიიღებს გირვანქაზე 28 კაპ.
4) ხელოსნებს (სპეციალისტებს) მიეცემა დღეში 5 მანეთი.

მიმართეთ: მეცხრე უბანში ნორიის პადიომზე სლესრის ქარხნის პატრონს მარკოზ მიროტაძეს. ჩაწერა გაგრძელდება 10 აპრილამდე. 1—1

[illegible]

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებსაც გავგზავნის მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.

[illegible] „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, [illegible] „განათლება“, [illegible] „ბაიყუში“, რუსული ჟურნალი [illegible] და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.